კვლევის მიზანს შეადგენდა ანგიოტენზინმაკონვერტირებელი ფერმენტის ინჰიბიტორის – ენალაპრილის (ე), ანგიოტენზინ II რეცეპტორების ანტაგონისტის – ლოზარტანის (ლ), ე+ლ კომბინაციისა და რენინის სეკრეციის ინჰიბიტორის – ალისკირენის (ა) შედარებითი ზეგავლენის შესწავლა დოკა (დეზოქსიკორტიკოსტერონ აცეტატი), მარილოვანი ჰიპერტენზიის მქონე ვირთაგვების სისხლში ლიპიდების შემცველობაზე, მორფოლოგიურ ცვლილებებზე მიოკარდიუმში და სისხლის შედედების მაჩვენებლებზე. ცდები ტარდებოდა ვისტარის ჯიშის მამრ ვირთაგვებზე, წონით 250.0-300.0 გ. ცხოველები დაყოფილნი იყვნენ 6 ჯგუფად: I – საკონტროლო (ს) – ნეფრექტომირებული ვირთაგვები, რომლებიც სასმელად ღებულობდნენ NaCl 0.9%-იან ხსნარს; II – დოკა-მარილოვანი ჰიპერტენზიის მქონე ცხოველები; III – დოკა-მარილოვანი ჰიპერტენზია+ე; IV – დოკა-მარილოვანი ჰიპერტენზია+ლ; V – დოკა-მარილოვანი ჰიპერტენზია+ე+ლ; VI – დოკა-მარილოვანი ჰიპერტენზია+ა. როგორც ჩატარებულმა ცდებმა ცხადყო, დოკა-მარილოვანი ჰიპერტენზიის მქონე ვირთაგვებში ადგილი ჰქონდა სისხლში ქოლესტეროლისა და ტრიგლიცერიდების რაოდენობის მომატებას, რაც კორელირებდა მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების (მსლ) დონის შემცირებასა და დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების (დსლ) კონცენტრაციის გაზრდასთან. აღნიშნულ ცვლილებებთან ერთად მცირდებოდა სისხლის შედედების დრო (სშდ), პროთრომბინის დრო (პდ), აქტივირებული პარციული თრომბოპლასტინის დრო (აპთდ), რასაც თან ახლდა ფიბრინოგენის კონცენტრაციის მომატება. ე, ე+ლ და ა ხელს უწყობდნენ ამ ცვლილებების კორექციას. კერძოდ, ისინი ამცირებდნენ ქოლესტეროლის, ტრიგლიცერიდებისა და დსლ დონეს და ზრდიდნენ მსლ კონცენტრაციას. ამასთან ერთად, ისინი ხელს უწყობდნენ სშდ-ს, პდ-ს და აპთდ-ს გახანგრძლივებას და ფიბრინოგენის დონის შემცირებას. ყველაზე ნათლად ვლინდებოდა ე+ლ და ა ეფექტები, ხოლო, ლ მათგან განსხვავებით არ იწვევდა სტატისტიკურად სარწმუნო ცვლილებებს სისხლში ლიპიდების შემცველობასა და სისხლის შედედების მაჩვენებლების მხრივ.

კეთდება დასკვნა რენინ-ანგიოტენზინ-ალდოსტერონის სისტემის ინჰიბიციის კეთილმყოფელი ზეგავლენის შესახებ ისეთი მდგომარეობისას, რომელთაც თან ახლავს ლიპიდების მეტაბოლიზმისა და სისხლის შედედების სისტემის დარღვევა.

ИЗУЧЕНИЕ СРАВНИТЕЛЬНОГО ВЛИЯНИЯ АЛИСКИРЕНА, ЭНАЛАПРИЛА, ЛОЗАРТАНА И КОМБИНАЦИИ ЭНАЛАПРИЛ / ЛОЗАРТАН НА СВЕРТЫВАЕМОСТЬ КРОВИ, МОРФОЛОГИЧЕСКИЕ ИЗМЕНЕНИЯ МИОКАРДА И СОДЕРЖАНИЕ ЛИПИДОВ У КРЫС С ДОКА-СОЛЕВОЙ ГИПЕРТЕНЗИЕЙ

Н. Гонгадзе, Л. Габуния, Р. Рухадзе, К. Гамбашидзе, Т. Каладзе, А. Дгебуадзе, Е. Гогохия

Тбилисский государственный медицинский университет

РЕЗЮМЕ

Целью настоящего исследования являлось изучение сравнительного влияния ингибитора ангиотензинпревращающего фермента – эналаприла (Э), антагониста ангиотензина – II рецепторов-лозартона (Л), комбинации Э+Л и ингибитора секреции ренина-алискирена (А) на метаболизм липидов и систему свёртывания крови у крыс с Дока-солевой гипертензией. Эксперименты проводились на крысах самцах линии Вистар, весом 250-300 г. Животные были разделены на 6 групп: I – контрольная (К), нефректомизированные крысы, получавшие в качестве питья 0.9% раствора NaCl; II – животные с Дока-солевой гипертензией; III – Дока-солевая гипертензия +Э; IV – Дока-солевая гипертензия +Л ; V – Дока-солевая гипертензия +Э +Л; VI – Дока-солевая гипертензия +А. Как показали опыты, у животных с Дока-солевой гипертензией, в отличие от К крыс, наблюдалось достоверное повышение в крови уровня холестерола и триглицеридов, что коррелировало с уменьшением уровня липопротеинов высокой плотности (ЛВП) и с увеличением количества липопротеинов низкой плотности (ЛНП). Эти изменения со стороны липидов в крови сочетались с выраженным уменьшением времени свертывания крови (ВСК), протромбинового времени (ПВ), времени активированного парциального тромбопластина (АПТВ) и с повышением концентрации фибриногена (Ф). 6 недельное лечение крыс с Дока-солевой гипертензией Э, Э+Л и А значительно уменьшало изменения в содержании липидов в крови и показателей свертывания крови. Более выраженное действие в этом плане проявляли Э+L и А, которые достоверно пролонгировали ВСК, ПВ и АПТВ и уменьшали уровень Ф, что сочеталось со снижением концентрации холестерина, триглицеридов и ЛНП и с увеличением содержания в крови ЛВП. Монотерапия Л, в отличие от Э+Л и А, характеризовалась с меньшим влиянием на содержание в крови липидов и показателей свёртывающей системы крови у крыс с Дока-солевой гипертензией.

Делается заключение о благотворном влиянии ингибиции РААС при состояниях с нарушением метаболизма липидов и свертывающей системы.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქ. მეცნ. ეროვნ. აკად. მაცნე, ბიომედ. სერია, 2012, ტ.38, № 5-6 ISSN-0321-1665
Известия нац. АН Грузии, биомед. серия, 2012, т. 38, № 5-6
Proc. Georgian Nat. Acad. Sci., Biomed. Series, 2012, vol. 38, No 5-6

სისხლძარღვოვანი ტონუსის მარეგულირებელი მექანიზმების მიმოხილვა

ი. დიასამიძე, ნ. მითაგვარია

ბათუმის შ. რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ი. ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი, თბილისი

სტატიაში განხილულია სისხლძარღვის ტონუსის მარეგულირებელი ფაქტორების შესახებ ლიტერატურაში არსებული მონაცემები, დაწყებული მე-19 საუკუნის დასასრულიდან დღემდე. ძირითადი ყურადღება დათმობილია სისხლძარღვთა ტონუსის მარეგულირებელი მეტაბოლური ფაქტორებისა და მათი მოქმედების შესაძლო მექანიზმებისადმი.

განხილულია ისეთი ფაქტორების მოქმედება, როგორიცაა ადენოზინი, ნახშირორჟანგი, არაორგანული იონები (ძირითადად, კალიუმის იონები). განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო აზოტის ოქსიდს და მის მრავალმხრივ მარეგულირებელ როლს სისხლის მიმოქცევის სისტემაში როგორც ნორმის, ისე პათოლოგიის პირობებში.

საკვანძო სიტყვები: სისხლძარღვის ტონუსი, მეტაბოლური ფაქტორი, ადენოზინი, კალიუმის იონები, აზოტის ოქსიდი

ვარაუდი სისხლის მიმოქცევის ინტენსივობაზე მეტაბოლიტების შესაძლო გავლენის შესახებ პირველად ჯერ კიდევ 1890 წელს [72] გამოითქვა, რომლის თანახმად თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის დონე განისაზღვრება ორი ფაქტორით: სისტემური არტერიული წნევით და შიდა მექანიზმებით, რომლებიც ეფუძნება მეტაბოლიზმის პროდუქტების მოქმედებას და მათ უნარს შეცვალონ თავის ტვინში სისხლის მიმოქცევა ფუნქციური აქტიურობის შესატყვისად. უფრო ადრე ბაყაყის დენერვირებულ კიდურში გამოვლენილი იყო მეტაბოლიტების მონაწილეობა რეაქტიული ჰიპერემიის განვითარებაში [71]. შემდგომში მეტაბოლური რეგულაციის თეორიამ ექსპერიმენტული დადასტურება ჰპოვა გასკელის შრომებში [35]. მან თეორიული საფუძველი ჩაუყარა მეტაბოლური თეორიის კონცეფციის ჩამოყალიბებას, რომლის თანახმად მეტაბოლური მექანიზმი არის ერთ-ერთი წამყვანი ჰემოდინამიკის რეგულაციაში და უზრუნველყოფს მის ადეკვატურობას ფუნქციურ-მეტაბოლური აქტიურობისადმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XX საუკუნის 90-ან წლებამდე ძირითადი ვაზოაქტიური მეტაბოლიტების სია ასე გამოიყურებოდა: ნახშირორჟანგი, ადენოზინი, კალიუმის და წყალბადის იონები, ჰისტამინი, სეროტონინი, ბრადიკინინი და ა.შ. [3, 5, 9, 12, 37, 58, 83]. ხოლო საუკუნის დასასრულს აზოტის ოქსიდის აღმოჩენამ პრინციპულად შეცვალა ექსპერიმენტული კვლევის მიმართულება მთელი მსოფლიოს მასშტაბით და ყურადღება მთლიანად იქნა გადართული სისხლის მიმოქცევის რეგულაციაში ამ ახალი ფაქტორის როლისა და ფუნქციის დადგენისადმი [18, 43, 27, 32, 20, 42, 61].

დადგინდა, რომ აზოტის ოქსიდი წარმოადგენს ძლიერ ვაზოდილატატორს, რომელიც თავდაპირველად იდენტიფიცირებულ იქნა, როგორც ენდოთელიუმ-დამოკიდებული რელაქსაციის ფაქტორი [34]. ახლა უკვე ცნობილია, რომ NO აგრეთვე გამომუშავდება თავის ტვინშიც პერივასკულური ნერვული ბოჭკოების, გლიის, აქტიური ნეირონების მიერ და, შესაბამისად, შეუძლია თავის ტვინში ფართოდ აკონტროლოს სისხლის მიმოქცევის ინტენსივობა [20]. ზოგიერთი გამოკვლევით ნაჩვენებია, რომ აზოტის ოქსიდს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ცერებროვასკულურ ბაზალურ ტონუსში და ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის ნახშირორჟანგით გამოწვეულ გაძლიერებაში [43]. აზოტის ოქსიდს ასევე მნიშვნელოვანი როლი მიანიჭეს სისტემური ჰიპოქსიის [42, 68] და ჰიპოტენზიის [81] პირობებში. ითვლება აგრეთვე, რომ NO მნიშვნელოვანი მედიატორია ნეირონული აქტიურობის, მეტაბოლიზმისა და ადგილობრივი სისხლის ნაკადის დონის შეუღლების საქმეში. გაირკვა, რომ აზოტის ოქსიდის სინთაზას ინჰიბიციამ შეამცირა სენსორული სტიმულაციის გზით ინდუცირებული ცერებრული ვაზოდილატაცია [28].

ვაზოაქტიურ ფაქტორთა ცალკე ჯგუფს ქმნის მეტაბოლიზმის პროცესში წარმოქმნილი ადენინური ნუკლეოტიდები, ATP-ს დაშლის პროდუქტები: ადფ, ამფ, ადენოზინი, ინოზინი, ჰიპოქსანტინი, ქსანტინი, შარდმჟავა [10, 11]. დადგენილია ამ ფაქტორების არსებობა ინტერსტიციალურ სითხეში, ლიქვორსა და სისხლში [16, 73].

ადენოზინის მატება შეიმჩნევა ჰიპოქსიის, ჰიპერკაპნიის, ჰიპოტენზიის და ნერვული ქსოვილის ფუნქციური გააქტივების დროს [73]. ადენოზინის კონცენტრაცია სისტემური არტერიული წნევის დაგდებიდან უკვე 10 წამის შემდეგ აღწევს მაქსიმუმს, რომელიც 5-ჯერ აჭარბებს კონტროლს [85], ხოლო მე-60 წამზე ადენოზინის შემცველობა ემთხვევა დოზებს, რომელიც საჭიროა სისხლძარღვების დიამეტრის გამოხატული ცვლილებისთვის მისი ადგილობრივი აპლიკაციის პირობებში. ეს მონაცემები მიუთითებს, რომ ადენოზინს შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს სისხლის მიმოქცევაზე. ამასთან ერთად, პ. გრეგორის [36] პუბლიკაციაში გამოქმულია ეჭვი იშემიის დროს ადენოზინის რაიმე როლის შესახებ სისხლის მიმოქცევის რეგულაციაში. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ადენოზინის ვაზოაქტიური მოქმედება რეალიზდება მხოლოდ ცერებრული სისხლძარღვების გლუვი კუნთების სპეციფიკური ციტორეცეპტორების

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქტივაციით [6, 14]. ასეთი სპეციფიკური რეცეპტორების არსებობა ნაჩვენები ცერებრული სისხლძარღვების ორგანიზაციის ყველა დონეზე [30]. გამოვლენილია სხვადასხვა ცხოველების თავის ტვინის იზოლირებული სისხლძარღვების ვარიაბელური რეაქტიულობა ადენოზინზე, რაც დაკავშირებული უნდა იყოს სხვადასხვა სახეობის ცხოველების თავის ტვინის სისხლძარღვებში ადენოზინური რეცეპტორების განსხვავებულ განაწილებასთან [1].

სისხლძარღვთა გლუვ კუნთებზე ადენოზინის მოქმედების მექანიზმისადმი მიძღვნილ საკმარისად დიდი რაოდენობით გამოქვეყნებულ ნაშრომთა მიუხედავად, ბევრი რამ ჯერ კიდევ არ არის გარკვეული. ასე, მაგალითად, გაურკვეველია ადენოზინის როლი სისხლძარღვთა ვაზოკონსტრიქტორულ რეაქციაში, რომელიც ნანახი იყო ბოცვერის თირკმელებში სიმპატიკური ნერვის გაღიზიანების და ნორადრენალინის შეყვანის საპასუხოდ [39]. თვით ავტორები ამ რეაქციას ხსნიან არა ადენოზინის უშუალო ზემოქმედებით სისხლძარღვის კედელზე, არამედ განიხილავენ, როგორც ნერვული ბოლოებიდან ნორადრენალინის გამოთავისუფლების დათრგუნვით გაშუალედებულ რეაქციას.

არაერთგვაროვანია ასევე შეხედულებანი კალციუმის როლის შესახებ ადენოზინით გამოწვეულ ვაზოდილატაციაში. კოვაჩისა და მისი ჯგუფის მონაცემების მიხედვით, კალციუმი არ უნდა მონაწილეობდეს ამ პროცესში [29, 51]. მაგრამ მ. შუბას ლაბორატორიაში ჩატარებული კვლევის მიხედვით, ადენოზინი რეალიზდება გლუვკუნთოვანი უჯრედის პლაზმურ მემბრანაზე, პირდაპირ მოქმედებს, თრგუნავს უჯრედგარეთა კალციუმის უჯრედში შეღწევას და აქვეითებს უჯრედშიდა კალციუმის კონცენტრაციას [4].

მეტაბოლური ფაქტორების რიცხვს, რომლებსაც შეუძლია სისხლძარღვების გლუვი კუნთების ტონუსის მნიშვნელოვანი ცვლილება, პირველ რიგში მიეკუთვნება ნახშირორჟანგი [38]. ლიტერატურაში საკმარისზე მეტი მონაცემია არტერიულ სისხლში ნახშირორჟანგის პარციალურ წნევასა ($PaCO_2$) და სისხლის მიმოქცევას შორის კორელაციის შესახებ [3, 50]. ყველაზე დიდი მგრძნობელობა არტერიულ სისხლში ნახშირორჟანგის პარციალური წნევისადმი გააჩნია თავის ტვინის სისხლის მიმოქცევას [70].

ლიტერატურაში არსებული მონაცემების მიხედვით, ადენინური ნუკლეოტიდებისა და ნახშირორჟანგის გარდა სისხლის მიმოქცევის რეგულაციაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ არაორგანული იონები, და პირველ რიგში, K^+.

არსებული მონაცემები და მათი თეორიული გააზრება საშუალებას გვაძლევს კალიუმი განვიხილოთ, როგორც ერთ-ერთი შესაძლო ფაქტორი, რომელიც უნდა მონაწილეობდეს ჰიპერემიის განვითარებაში და უზრუნველყოფდეს შესაბამისობას ქსოვილში მეტაბოლურ აქტიურობასა და მის სისხლით მომარაგებას შორის.

სისხლძარღვოვან გლუვ კუნთებზე ნეიროტრანსმიტერების და ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების მოქმედება განპირობებულია სისხლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძარღვთა კედელში სპეციფიკური რეცეპტორების არსებობით და მაინ საკმარისად კარგი ინერვაციით. ჰისტოქიმიური და ფიზიოლოგიური მეთოდების გამოყენებით გამოვლენილია ადრენერგული, პურინერგული, პეპტიდერგული და სხვა ტიპის რეცეპტორები [8, 13, 67, 82].

როგორც უკვე აღინიშნა, უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მოექცა აზოტის ოქსიდის შესაძლო როლი ორგანული სისხლის მიმოქცევის რეგულაციაში.

ცნობილია, რომ ორგანიზმში აზოტის ოქსიდი (NO) წარმოადგენს სასიგნალო მოლეკულას, რომელიც ჩართულია სხვადასხვა ბიოლოგიური ფუნქციების განხორციელებაში, მათ შორისაა იმუნური სისტემის რეაქციები, სისხლძარღვთა ტონუსის მარეგულირებელი სიგნალები და ნეიროტრანსმისია [19, 24, 49, 63, 66, 74, 75, 80]. კერძოდ, ფიზიოლოგიურ პირობებში, ენდოთელიუმში წარმოქმნილი NO მნიშვნელოვან როლს ასრულებს სისხლის მიმოქცევის რეგულაციასა და აუტორეგულაციაში [24, 50], ორგანოში მეტაბოლიზმისა და სისხლის ნაკადის შეუღლებაში [79].

აზოტის ოქსიდი ლიპოფილურია, ტრანსცელულარული დიფუზიით იოლად აღწევს ინტრაცელულარულ სამიზნეებს, რითაც გარკვეულწილად ემსგავსება ჰორმონს [65]. NO ხანმოკლე სიცოცხლისუნარიანობით ხასიათდება. ჟანგბადი აზოტის ოქსიდს წყალხსნარში აზოტურ აციდრიდამდე ჟანგავს ნიტრიტის შემდგომი წარმოქმნით. თუ ჟანგბადისა და აზოტის ოქსიდის კონცენტრაცია შესაბამისად 20 და 1 მიკრომოლია, მაშინ აზოტის ოქსიდის ნახევარსიცოცხლის დრო დაახლოებით 500 წამია, მაგრამ in vivo პირობებში ეს მაჩვენებელი განისაზღვრება 5 წამით, რაც იმაზე მეტყველებს, რომ აზოტის ოქსიდი აქტიურ ურთიერთქმედებაშია უჯრედოვან კომპონენტებთან. ყველაზე დიდი სიჩქარით აზოტის ოქსიდი (NO) რეაგირებს სუპეროქსიდურ ანიონთან (O2-) და გარდამავალი ვალენტობის ლითონებთან: რკინისა და სპილენძის ჰემურ კომპლექსებთან, რკინაგოგირდოვან სტრუქტურებთან.

აზოტის ოქსიდის უმრავლესი უჯრედული ეფექტების გამოვლენა დამოკიდებულია NO და O_2 კონცენტრაციათა თანაფარდობაზე, ვინაიდან ბევრ ჯგუფზე მოქმედებს არა უშუალოდ აზოტის ოქსიდი, არამედ პეროქსინიტრიტი, რომელიც ბევრად უფრო აქტიურია და პოტენციურად უფრო ტოქსიკური შენაერთია, ვიდრე ცალ-ცალკე აღებული NO და O_2^-. გარკვეულ პირობებში, მაგალითად, ციტოკინების მოქმედებისას, როდესაც უჯრედებში აქტიურად მიმდინარეობს თიოლების და რკინაგოგირდოვანი ცენტრების ჟანგვა, ჭარბობს აზოტის ოქსიდის ციტოტოქსიკური მოქმედება. მაგრამ, თუ შეიცვალა კონცენტრაციების ბალანსი, ანუ თუ აზოტის ოქსიდის კონცენტრაცია მნიშვნელოვნად აჭარბებს O_2-ის კონცენტრაციას, მაშინ ხდება პეროქსინიტრიტის აღდგენა NO_2-მდე და ამ პირობებში NO მოქმედებს უკვე როგორც ანტიოქსიდანტი, რომელიც იცავს უჯრედებს ჟანგბადის აქტიური ფორმების ციტოტოქსიკური მოქმედებისგან [15, 21, 84].

გარდა მაღალი ქიმიური აქტიურობისა, აზოტის ოქსიდის, როგორც სასიგნალო მოლეკულის მნიშვნელობა, განისაზღვრება მისი სწრაფი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიფუზიის უნარითაც. თანახმად არსებული მონაცემებისა [57], აზოტის ოქსიდი მისი მასინთეზირებელი უჯრედისგან საკმარისად შორს და სწრაფად ვრცელდება. სინთეზის დაწყებიდან დაახლოებით ორი წამის შემდეგ მასინთეზირებელი უჯრედისგან 100 მკმ დაცილებით აზოტის ოქსიდის კონცენტრაცია წონასწორული მნიშვნელობის ნახევარს შეადგენს [55]. წარმოქმნის ადგილიდან 160 მკმ დაცილებით (რაც დაახლოებით რვა უჯრედული დიამეტრის ტოლია) სინთეზის მუდმივი დონის შენარჩუნების პირობებში აზოტის ოქსიდის კონცენტრაცია ორჯერ მცირდება [55].

ტრადიციული ნეიროტრანსმიტერებისგან განსხვავებით, NO არ გროვდება ნერვული დაბოლოებების სინაფსურ ვეზიკულებში და არ გამოიყოფა სინაფსურ ნაპრალში ეგზოციტოზის მექანიზმის გზით. L-არგინინის L-ციტრულინად კატალიზურად გარდაქმნის თანაპროდუქტის ფერმენტ NO-სინთაზას (NOS) საშუალებით NO-ს მოლეკულა სინთეზირდება ფიზიოლოგიური მოთხოვნილების მიხედვით [22].

აღმოჩნდა, რომ უჯრედში არსებობს NOS ჯგუფის ფერმენტები, რომლებიც შეიცავენ ნეირონულ (nNOS), ენდოთელურ (eNOS) და ინდუციბელურ (iNOS) იზოფორმებს. ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან მოლეკულური, ბიოქიმიური და ფარმაკოლოგიური თავისებურებებით [49, 75].

კონსტიტუციონალური NOS-ის იზოფორმები (eNOS და nNOS) ჩვეულებრივ არსებობს ენდოთელურ უჯრედებში და ნეირონებში და აქტივდება კალციუმის, კალციუმ-დამაკავშირებელი ცილის კალმოდულინის, ჟანგბადის თანაარსებობისას და იშლება ნიკოტინამიდ ფოსფატამდე მაშინ, როცა არგინინის დერივატები ჩვეულებრივ აინჰიბირებენ მათ კატალიზურ აქტიურობას. კონსტიტუციონალური იზოფორმები უჯრედშიდა კალციუმის დონის გაზრდამდე არააქტიურ მდგომარეობაშია. გაზრდის შედეგად კალმოდულინი უკავშირდება კალციუმს, ხოლო კალციუმ-კალმოდულინის კომპლექსი უკავშირდება და ააქტივებს NOS-ს. უკვე შემდეგ სინთეზირდება NO და მცირე რაოდენობით გამოიყოფა კალციუმის დონის შემცირებამდე. აზოტის ოქსიდის ასეთი პერიოდული წარმოქმნით ხდება სიგნალების გადაცემა. ამის საწინააღმდეგოდ, ინდუციბელური NOS, იყენებს რა ტეტრაჰიდრობიოპროტეინს, როგორც მის მთავარ კოფაქტორს, ჩვეულებრივ დაკავშირებულია მაკროფაგებთან და იმუნური ფუნქციის სხვა უჯრედებთან. ინდუციბელური NOS-ის საშუალებით NO მუდმივად სინთეზირდება დიდი (1000-ჯერ მეტი) ოდენობით იმ უჯრედებში, რომლებიც ირგვლივ მყოფი უჯრედებისთვის პათოლოგიურია, ანუ ბაქტერიებსა და პარაზიტებში [22]. iNOS-ის აქტივაციისას NO-ს წარმოქმნა მკვეთრად იზრდება და მაქსიმალურ მნიშვნელობას საათების შემდეგ აღწევს [7].

მრავალი ფაქტორი, ისეთი როგორიცაა ოქსიჰემოგლობინისა და პეროქსიდული ანიონის ნაკლებობა, ჰიპოქსია, კალციუმის დაბალი შიგაუჯრედული მარაგი და ექსტრემალური ტუტე-მჟავური პირობები, შეიძლება წარმოადგენდეს NO-ს წარმოქმნისა და აქტიურობის ხელის შემშლელ ფაქტორს [64, 75].

ეროვნული ბიბლიოთეკა

NOS-ის გენის ექსპრესია შესაძლოა გამოვლინდეს კოფაქტორებზე მოთხოვნებით და სხვადასხვა სასიგნალო გზების ურთიერთქმედებით [75]. მისი მარეგულირებელი ზეგავლენების რიცხვში შედის განსაზღვრული ზრდის ფაქტორები, ციტოკინებისა და ტრანსკრიპციის ფაქტორები, ასევე მექანიკური ფაქტორები, როგორიცაა ადგილობრივი სისხლის ნაკადის ფენომენი, რომელიც განსაზღვრავს ენდოთელური NOS გენის ექსპრესიას.

ჟანგბადის აქტიური ნაერთებიც ახდენს გავლენას NOS-ის აქტიურობაზე. დადგენილია, რომ თავის ტვინში L-არგინინისგან NO-ს წარმოქმნის პროცესში, რომელიც კატალიზდება iNOS-ის ციტოლიზური იზოფორმით, მონაწილეობენ სუპეროქსიდ ანიონი, წყალბადის ზეჟანგი და ჰიდროქსილ რადიკალი [25, 59, 62].

პოსტულირებულ იქნა NO-ს გავლენა NOS-ის აქტიურობის უშუალო უკუკავშირის ინჰიბიციაზე, ენზიმის ჰემის ნაწილთან ურთიერთქმედებით.

NO-ს ძირითად ბიოქიმიურ ფუნქციას წარმოადგენს მეორადი სასიგნალო მოლეკულის 3',5'-ციკლური გუანოზინ მონოფოსფატის (cGMP) შიგაუჯრედული წარმოქმნის სტიმულირება [19, 49, 63, 66, 75]. NO გუანილატციკლაზას გააქტივებას იწვევს, რომელიც შემდგომში გუანოზინ-5'-ტრიფტოფანდან აკატალიზებს cGMP-ს წარმოქმნას. უფრო მეტად, ვიდრე ციკლური ნუკლეოტიდი 3',5'-ციკლური ადენოზინ მონოფოსფატი (cAMP), cGMP ამოდულირებს სხვადასხვა უჯრედშიდა ფუნქციებს გლუვი კუნთების მნიშვნელოვანი რელაქსაციისა და სისხლის ნაკადის მნიშვნელოვანი მატების გზით [22].

NO-სთვის დამატებით ბიოქიმიურ ფუნქციებს შეადგენს ურთიერთობა ჰემოგლობინთან, სისხლის შრატის ალბუმინთან, არაჰემურ რკინაგოგირდოვან ცილებთან და მათთან სტაბილური კომპლექსების შექმნა, რაც, თავის მხრივ, იწვევს NO-ს ბიოლოგიური ეფექტების გავრცელებას სისხლძარღვებზე.

NO გამოიყოფა ენდოთელიუმში და მიგრირებს სისხლძარღვთა კედლის გლუვკუნთოვან უჯრედებში, იწვევს რა მათ მოდუნებას და, ამგვარად, NO წარმოადგენს ბუნებრივ მიორელაქსანტს, რომლის "სამიზნე" არის სისხლძარღვთა კედლის კუნთი. ნაჩვენებია, რომ ენდოთელური NOS გენის გამოთიშვას მივყავართ მკვეთრ ჰიპერტენზიამდე. ადამიანში NO-სინთაზას დეფექტებს გენში მივყავართ ათეროსკლეროზამდე.

როგორც ცნობილია, ფიზიოლოგიურ პირობებში ენდოთელიუმში წარმოქმნილი NO მნიშვნელოვან როლს ასრულებს სისხლის მიმოქცევის რეგულაციასა და აუტორეგულაციაში [50], ორგანოში მეტაბოლიზმისა და სისხლის ნაკადის შეუღლებაში [17, 79], წარმოადგენს ნოციცეპციის, თერმოგენეზის, ყნოსვის მედიატორს [18, 53], მონაწილეობს ასევე ნეიროტრანსმისიისა და მეხსიერების ფორმირებაში, ნეიროენდოკრინული ფუნქციების მოდულაციასა და ქცევით აქტიურობაში [78]. დღეისთვის მას განიხილავენ სისხლძარღვების ენდოთელიუმ-დამოკიდებული რელაქსაციის განმახორციელებელ ფაქტორად.

ცენტრალურ და პერიფერიულ ნერვულ სისტემაში აზოტის ოქსიდის წყაროს წარმოადგენს არაქოლინერგული ნერვები, გლუტამატური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეირონები, აგრეთვე სისხლძარღვების ენდოთელური უჯრედები, მიკროგლიის უჯრედები და ასტროციტები [54]. იმუნოჰისტოქიმიური მეთოდების გამოყენებით დაადგინეს nNOS-ის ყველაზე მაღალი აქტიურობა ნათხემის გამ-ერგულ უჯრედებსა და ასტროციტებში. NOS-ის ფერმენტული აქტიურობის უფრო დაბალი დონე აღმოჩენილია ჰიპოთალამუსში, შუა ტვინში, სტრიატუმსა და თავის ტვინის ქერქის ნეირონებში. ჰიპოკამპის პირამიდულ ნეირონებში აღმოჩენილია ენდოთელური NO-სინთაზას – eNOS-ის მნიშვნელოვანი კონცენტრაცია [2, 7]. Ca^{2+}-დამოკიდებული ინდუციბელური NO-სინთაზა ნორმალურ თავის ტვინში აღმოჩენილი არ იყო [Sinz et al., 1999].

NO დიდი რაოდენობით წარმოიქმნება ხანგრძლივი დროის განმავლობაში და შეზღუდულია მხოლოდ სუბსტრატის და კოფაქტორის რაოდენობით. იშემიის შემდეგ iNOS-ის მიერ პროდუცირებული NO ავლენს ტოქსიკურ თვისებებს, შესაძლოა პეროქსინიტრიტის და მისი მეტაბოლიტების ტოქსიკურობის გამო [44-46]. ამის საწინააღმდეგოდ, ექსპერიმენტები ალერგიული ენცეფალიტების იმუნოდამოკიდებული დაზიანების და ცნს-ის ინფექციების მოდელზე მეტყველებენ iNOS-ის პროტექტორული როლის შესახებ.

ენდოთელური NO-სინთაზას მიერ წარმოქმნილი NO, ტვინის ტრავმული დაზიანების და ფოკალური ისქემიის მოცულობაში, სისხლის ნაკადის გაზრდის შედეგად მდგომარეობის გაუმჯობესებას იწვევს [26, 41]. პირიქით, ნეირონული NO-სინთაზას (nNOS) მიერ წარმოებულმა NO-მ, ისქემიური ან ტოქსიკური ინსულტის შემდეგ, შეიძლება ნეირონების დაზიანება გამოიწვიოს [40, 77].

მოწოდებულია რამდენიმე ჰიპოთეზა NO-ს წარმოქმნასა და მეტაბოლიზმზე თვით ჰიპოქსიის უშუალო გავლენის ასახსნელად. ჰიპოქსია იწვევს შიგაუჯრედული თავისუფალი Ca^{2+}-ის და Ca^{2+}-დამოკიდებული NO-სინთაზას გაზრდას [23, 56]. ის ასევე თრგუნავს პეროქსიდული იონების გენერაციას, რომელიც იწვევს NO-ს ინაქტივაციას [73]. ანოქსიის მდგომარეობაში NO-ს პროდუქცია დათრგუნულია, რადგან NO-ს სინთეზი საჭიროებს ჟანგბადის მოლეკულების თანაარსებობას [Palmer et al., 1988]. პოლმა და ბუსემ [69] უჩვენეს, რომ ჰიპოქსია ($PaO_2 = 24 \pm 8$ mmHg) ასტიმულირებს NO-ს გამოყოფას სისხლძარღვებიდან და კულტივირებული ენდოთელური უჯრედებიდან. აღსანიშნავია, რომ $PaO_2 = 36\text{-}37$ mmHg ჰიპოქსიის დროსაც ხდება NO-ს სინთეზი და გამოყოფა, როგორც პოლ და ბუსეს შემთხვევაში, თუმცა ენდოთელური უჯრედების ან Ca^{2+}-ის და სუპეროქსიდ ანიონების როლი ჯერ კიდევ საჭიროებს გარკვევას [47].

დადგენილია, რომ ჟანგბადის და აზოტის რეაქციული სახეობები ჩართული არიან სხვადასხვა მწვავე და ქრონიკული ანთებითი პროცესების პათოგენეზში. კერძოდ, ხშირად აზოტის ოქსიდს შეუძლია გამოიწვიოს უარყოფითი მოქმედება ანთებით ქსოვილზე, რომელიც მანიფესტირდება გაუარესებული ენდოთელიუმ-დამოკიდებული ვაზოდილატაციით [Suzuki et al., 2000], ბირთვული ტრანსკრიპციული ფაქტორების აქტივაციით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანთებითი ციტოკინების შესაბამისი პროდუქციით [33], ლეიკოციტების მობილიზაციით და აქტივაციით [52], აჩქარებული აპოპტოზით [86] და პარენქიმული უჯრედების ნეკროზით [60]. არაისქემიურ ცდებში ნაჩვენები იყო, რომ ეპითელიური ნეკროზი და/ან აპოპტოზი კორელირებს აზოტის ოქსიდის დისრეგულაციასთან [31]. ამავე ნაშრომში ნაჩვენები იყო, რომ ლორწოვანი გარსის ადრეული ნეკროზი ვითარდება ლიპოპოლისაქარიდებით ინდუცირებული ანთების და მიკროცირკულაციის მოშლის შედეგად, ხოლო აზოტის ოქსიდის როლი გამოკვეთილია უფრო მოგვიანო სტადიაზე – ეპითელური აპოპტოზის დროს.

აზოტის ოქსიდის ჰემოდინამიკაზე ქმედების მოკლე შეჯამება შეიძლება ასეთი სახით:

1. აზოტის ოქსიდი არის ციკლური გუანოზინ მონოფოსფატის (cGMP) რაოდენობის ძირითადი განმაპირობებელი. მისი მომატებით ის თრომბოციტებსა და გლუვ კუნთებში ამცირებს კალციუმის შემცველობას. კალციუმის იონები კუნთის შეკუმშვის ყველა ფაზის აუცილებელი მონაწილეა. თავის მხრივ, cGMP ააქტიურებს cGMP-დამოკიდებულ პროტეინაზას და ქმნის პირობებს კალიუმის და კალციუმის მრავალი არხის გახსნისთვის. განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებს KCa^{2+}-არხები. ამ არხების გახსნა კალიუმისთვის გლუვი კუნთებიდან კალიუმის და კალციუმის გამოსვლის შედეგად რეპოლარიზაციისას იწვევს გლუვი კუნთების მოდუნებას. KCa^{2+} არხების აქტივაცია, რომელთა სიმჭიდროვე მემბრანებზე ფრიად მაღალია, აზოტის ოქსიდის მოქმედების ძირითად მექანიზმს წარმოადგენს [Грибкова и др., 2002; Fukao et al., 1999]. ამიტომ, აზოტის ოქსიდის საბოლოო ეფექტი გამოიხატება ანტიაგრეგაციულ, შედედების საწინააღმდეგო და ვაზოდილატატორულ მოქმედებაში.

2. აზოტის ოქსიდი ახდენს აგრეთვე სისხლძარღვთა გლუვი კუნთების ზრდის და მიგრაციის პრევენციას, აფერხებს ადჰეზიური მოლეკულების გამომუშავებას, ხელს უშლის სისხლძარღვებში სპაზმის განვითარებას. იგი ასრულებს ნეირომედიატორის, ნერვული იმპულსების ტრანსლიატორის ფუნქციებს, უზრუნველყოფს ბაქტერიციდულ ეფექტს [80].

3. აზოტის ოქსიდის სინთეზის ძირითადი სტიმულატორი სისხლძარღვებში არის წანაცვლების დაძაბულობის ცვლილება. მისი რაოდენობა იზრდება აგრეთვე აცეტილქოლინის, კინინების, სეროტონინის, კატექოლამინების და ა.შ. მოქმედების შედეგად. ინტაქტური ენდოთელიუმის პირობებში მრავალი ვაზოდილატატორი აზოტის ოქსიდის მეშვეობით ახორციელებს ვაზოდილატატორულ ეფექტს [80]. განსაკუთრებული სიძლიერით აზოტის ოქსიდი აფართოებს თავის ტვინის სისხლძარღვებს.

ლიტერატურა

1. *Азин А., Климин В., Митагвария Н., Бараташвили И.* Регуляторные механизмы коры головного мозга. Екатеринбург, Наука, 1995.
2. *Баикатова В.Г., Раевский К.С.* Биохимия, 1998, 63-67, 1020-1028.
3. *Вайнштейн Г.Б., Парфенов В.Е., Гайдар Б.В.* Физиол. ж. СССР, 1988, 74, 6, 820-826.

4. *Гокина Н.И., Гурковская А.В.* Бюлл. эксперимен. биол. и медицины, 1981, 92, 9, 261-264.
5. *Демченко И.Т., Буров С.В.* Физиол. ж. СССР, 1971, 57, 10, 1553-1555;
6. *Кулинский В.И., Ольховский И.А., Ковальский А.А.* Вопросы медицинской химии, 1987, 3, 107-112.
7. *Меньшикова Е.Б., Венков Н.К., Реутов В.П.* Биохимия, 2000, 65, 4, 485-503.
8. *Москаленко Ю.Е.* Физиол. ж. СССР, 1986, 72, 8, 1027-1038.
9. *Орлов Р.С., Айвар Ю.Н.* Физиол. ж. СССР, 1979, 65, 7, 1040-1045.
10. *Соколов Е.И., Подачин В.Н., Белова Е.В.* Эмоциональное напряжение и реакции сердечно-сосудистой системы. М., Наука, 1980.
11. *Халфен Э.Ш., Денисова С.Г.* Кардиология, 1975, 7, 51-56.
12. *Шамсутдинова А.Г.* Физиол. ж. СССР, 1980, 26, 1, 63-67.
13. *Черток В.М., Ломакин А.В., Пиголкин Ю.И.* Бюлл. эксперим. биологии и медицины, 1987, 103, 2, 215-218.
14. *Beck D., Hart M.N., Hansen K.E.* Stroke, 1984, 15, 134.
15. *Beckman J.S., Chen J., Crow J., Ye Y.Z.* Prog. Brain Res., 1994,103, 371-380.
16. *Berne R.M., Rubio R. and Curnish R.R.* Circ. Res., 1974; 35: 262-271.
17. *Bicher H.I., Bruley D.F., Reneau D.D., and Knisely M.H.* Bibl. Anat., 1973, 11, 526-531.
18. *Bredt D.S. and Snyder S.H.* PNAS, 1990, 87, 682-685.
19. *Bredt D.S. and Snyder S.H.* Neuron, 1992, 8(1), 3-11.
20. *Brian J.E. Jr, Faraci F.M., and Heistad D.D.* Clin. Exp. Pharmacol. Physiol., 1996. 23 (6-7), 449-457.
21. *Brune B., Messmer U.K., and Sandau K.* Toxicol. Lett., 1995, 82-83, 233-237.
22. *Burnet L., Finkelman F.D., Cheever A.W., Kopf M.A., and Pearce E.J.* J. Immunol., 1997, 159, 777-785.
23. *Busse R. and Mulsch A.* FEBS Lett., 1990, 275 (1-2), 87-90.
24. *Cacanyiova S.* Curr. Pharm. Biotechnol., 2011, 12, 1294-1304
25. *Claney R.M., Leszczynska-Pasiak J., Abramson S.B.* J. Invest., 1992, 90, 1116-1121.
26. *De Witt D.S., Smith T.G., Deyo D.J., Miller K.R., Uchida T., and Prough D.S.* J. Neurotrauma, 1997, 14(4), 223-233.
27. *Dirnagl U., Lindauer A., Villringer U.* Am. J. Physiol. Heart Circ. Physiol., 1993, 264, 1223.
28. *Dirnagl U., Niwa K, Lindauer U. and Villringer A.* Am. J. Physiol. Heart Circ. Physiol., 1994, 267, 296.
29. *Dutta-Choudhury T.A. and Rosenberry T.L.* J. Biol. Chem., 1984, 259, 5653-5660.
30. *Edvinsson L.U., Yensen I., and McCulloch J.* Am. J. Physiol. Heart Circ. Physiol., 1986, 251, 824.
31. *Elliot S.J., Striker L.J., Connor E., Stetler-Stevenson W., McQuinn W.C., Blagg C.R., and Striker G.E.* Clin. Nephrol., 2000, 54(2), 121-127.
32. *Faraci F.M. and Brian J.E., Jr.* Stroke, 1994, 25, 692-703.
33. *Flohe S., Lang T., and Moll H.* Infect. Immun., 1997, 65, 3444-3450.
34. *Furchgott R.F. and Zawadzki J.V.* Nature, 1980, 288(5789), 373-376.
35. *Gaskell W.H.* Brain, 1889, 12, 1-20.
36. *Gregory D.S., Bromberg B.B.* Invest. Ophthalmol., 1980, 19, 203.
37. *Hansen T.R., Dineen D.X., and Petrak R.* Am. J. Physiol. Cell Physiol., 1984, 246, 235.
38. *Harder D.R., Madden J.A.* Circ. Res., 1986, 58, 565.
39. *Hedqvist P., Fredholm B.* Arch. Pharmacol., 1976, 293, 3, 217-223.
40. *Huang M., Leblanc M.L., and Hester R.L.* Am. J. Physiol. Regulatory Integrative Comp. Physiol., 1994, 267, 84-88.
41. *Huang J., Roby K.F., Pace J.L., Russell S.W., Hunt J.S.* Biol., 1996, 57, 27-35.
42. *Hudetz A.G., Alkayed N.J., Birks E.K., Roman R.J., Henderson L., and Harder D.R.* Am. J. Physiol. Heart Circ. Physiol., 1996, 271, 1541.

ეროვნული ბიბლიოთეკა

43. *Iadecola C.* Am. J. Physiol. Regulatory Integrative Comp. Physiol., 1992, 263, 1156- 1161.
44. *Iadecola C., Zhang F., and Xu X.* Am. J. Physiol. Regulatory Integrative Comp. Physiol., 1995 (a), 268, 286-292.
45. *Iadecola C., Zhang F., Xu S., Casey R., and Ross M.E.* J. Cereb. Blood Flow Metab., 1995 (b); 15(3): 378-84.
46. *Iadecola C., Xu X., Zhang F., Fakahany E.E., and Ross M.E.* J. Cereb. Blood Flow Metab., 1995 (c), 15 (1), 52-59.
47. *Ishimura N., Kitaguchi K., Tatsumi K., and Furuya H.* Anesthesiology, 1996, 85(6), 1350-1356.
48. *Kieren J., Helmut O., Steinberg and Baron A.D.* Diabetes, 2004, 53, 8, 2060-2066.
49. *Knowles R.G. and Moncada S.* Biochem. J., 1994 298, 249.
50. *Kobari M., Fukuuchi Y., Tomita M., Takahashi N., Takeda H.* Brain Res., 1994, 26, 667, 2, 255-252.
51. *Kovach A.G., Dora E.* Am. J. Physiol. Heart Circ. Physiol., 1982, 243, 619.
52. *Kubes P., Suzuki M., and Granger D.N.* PNAS, 1991, 88, 4651.
53. *Lancaster J.R.* Am. Sci., 1992, 80, 248-258.
54. *Lancaster F.E.* Nitric oxide and Ethanol-induced Brain damage. A Hypothesis, research Nomegraph, 1993, N22, p. 373-387.
55. *Lancaster F.E. Jr, Werner-Felmayer G., and Wachter H.* Free Radic. Biol. Med., 1994, 16(6), 869-870.
56. *Luckhoff A., Pohl U., Busse R.* Pflugers Arch., 1986, 406 (Suppl 1), R46.
57. *Malinski T., Kapturczak M., Dayharsh J., and Bohr D.* Biochem. Biophys. Res. Commun., 1993, 194(2), 654-658.
58. *Martins A.N., Doyle T.F., Wright S.J., Jr and Bass B.G.* Stroke, 1980, 11, 469.
59. *McCell T.B., Boughton-Smith N.K.* Biochem. J., 1989, 261, 293-296.
60. *McKenzie K.E., Armstrong B.A., Chen Y., Nagarajan M., Aldaz C.M., Sukumar S.* Mol. Carcinog, 1997, 20, 2 194-203.
61. *Mitagvaria N.P., Bicher J.I.* Nova Science Publishers, NY, 2009.
62. *Mittal C.K.* Biochem. Biophys. Res. Commun., 1993, 193, 126-132.
63. *Moncada S., Palmer R.M., and Higgs E.A.* Pharmacol. Rev., 1991, 43, 109-142.
64. *Moncada S.* J. Lab. Clin. Med., 1992, 120, 187.
65. *Murad F.* Recent Prog. Horm. Res., 1998, 53, 43-59.
66. *Nathan C.* FASEB J., 1992, 6, 3051-3064.
67. *Nielsen K., Edvinsson L., Owman C.* Cerebral Circ. and Metabolism, 1975, 473-475.
68. *Pelligrino D.A.* J. Neurosurg. Anesthesiol., 1993, 5(4), 221-231.
69. *Pohl U. and Busse R.* Circ. Res., 1989, 65, 1798-1803.
70. *Reivich M.* Amer. J. Physiol., 1964, 206, 1, 25-35.
71. *Roy C., Brown J.* J. Physiol., 1879, 2, 323-359.
72. *Roy C., Sherrington C.* J. Physiol., 1890, 11, 85-108.
73. *Rubio H., Berne R.* Amer. J. Physiol., 1969, 216, 4, 56-62.
74. *Sessa W.C., Pritchard K., Seyedi N., Wang J., and Hintze T.H.* Circ. Res., 1994, 74, 349- 353.
75. *Sessa W.C.* J. Vasc. Res., 1994, 31(3), 131-43.
76. *Schultz S.K., O'Leary D.S., Boles Ponto L.L., Watkins G.L., Hichwa R.D., Andreasen N.C.* Neuroreport, 1999, 10, 12, 2493-2496.
77. *Shulz J.B.* J. Neurol. 1995, 15, 8419-8429.
78. *Szabo C.* Brain Res. Bull., 1996, 41(3), 131-141.
79. *Tanaka K.* Keio J. Med., 1996, 45, 1, 14-27.
80. *Toda N. and T. Okamura.* J. Vasc. Res., 2011, 48, 1-10.
81. *Toyoda K., Fujii K., Ibayashi S., Nagao T., Kitazono T., and Fujishima M.* J. Cereb. Blood Flow Metab., 1997, 17(10), 1089-1096.

82. *Tsukahara T., Tanigushi T., Shimahata S., Fujwara M., Haveda H.* Stroke, 1986, 17, 2, 202-207.
83. *Wahl M., Unterberg A., Whalley N., Bacthmann A., Young A., Edvinsson L., Wagner F.* Neural. Regul. Brain Circ., Amsterdam, 1988, 119-430.
84. *Wink D., Cook J.A., Kim Y., Vodovotz Y., Pacelli R. KrishnaM.C., Russo A., Mitchell J.B., Jourd'heuil D., Miles A.M., Grisham M.B.* J. Biol. Chem., 1997, 272, 11147-11151.
85. *Winn H., Morri S., Berne R.* Ann. Biomed. Eng., 1985, 13, 3-4, 321-328.
86. *Zhai Peiyong, Thomas E. Eurell, Robert Cotthaus, Elizabeth H. Jeffery, Janice M. Bahr, and David R. Gross.* Am. J. Physiol. Heart Circ. Physiol., 2000, 279, 2766-2775.

ОБЗОР МЕХАНИЗМОВ РЕГУЛИРОВАНИЯ СОСУДИСТОГО ТОНУСА

И. Диасамидзе, Н. Митагвария

Батумский государственный университет им. Ш. Руставели; Центр экспериментальной биомедицины им. И. Бериташвили, Тбилиси

РЕЗЮМЕ

В статье рассмотрены данные литературы, посвященные факторам регуляции сосудистого тонуса. В обзоре охвачены данные, полученные, начиная с конца 19-го века по сегодняшний день. Основное внимание уделено метаболическим факторам регуляции сосудистого тонуса и возможным механизмам их реализации.

Рассмотрены действия таких факторов, как аденозин, двуокись углерода, неорганические ионы (в основном, ионы калия). Особое внимание уделено оксиду азота и его многранной регулирующей роли в системе кровообращения как в условиях нормы, так и патологии.

REVIEW OF REGULATORY MECHANISMS OF THE VASCULAR TONE

I. Diasamidze, N. Mitagvaria

Batumi Sh. Rustaveli State University; I. Beritashvili Center for Experimental Biomedicine, Tbilisi

SUMMARY

The review is devoted to the analysis of data published in literature concerning the factors involved in the regulation of vascular tone. The review covers the data obtained since the late 19th century to the present day. The main attention is paid to the metabolic factors of vascular tone regulation and possible mechanisms of their realization.

The action of factors such as adenosine, carbon dioxide, inorganic ions (mainly the potassium ions) are considered. Particular attention is paid to nitric oxide and its multifaceted regulatory role in the circulatory system, both in conditions of norm and pathology.

საქ. მეცნ. ეროვნ. აკად. მაცნე, ბიომედ. სერია, 2012, ტ.38, № 5-6 ISSN-0321-1665
Известия нац. АН Грузии, биомед. серия, 2012, т. 38, № 5-6
Proc. Georgian Nat. Acad. Sci., Biomed. Series, 2012, vol. 38, No 5-6

C ჰეპტიდი და ენდოგენური ინსულინი პაციენტებში HCV ინფექციით

ე. ვაშაკიძე, თ. ბოჭორიშვილი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ინფექციურ სნეულებათა დეპარტამენტი

კვლევის მიზანია C ჰეპტიდისა და ინსულინის, როგორც ინსულინრეზისტენტობის მარკერების როლისა და მნიშვნელობის შესწავლა HCV-ინფექციის იმუნოპათოგენეზში.

გამოკვლეული იყო C ჰეპტიდისა და ინსულინის მაჩვენებლები 130 პაციენტში HCV ინფექციით (20 – მწვავე, 38 – ქრონიკული, 72 პაციენტი ქრონიკული C ჰეპატიტით ციროზის სტადიაზე). კვლევის შედეგებმა აჩვენა C ჰეპტიდისა და ინსულინის მაჩვენებლების მომატება C ჰეპატიტით დაავადებულ პაციენტებში, რაც მიუთითებს ინსულინრეზისტენტობის არსებობაზე. აღნიშნული დარღვევები კორელირდება ღვიძლის დაზიანების ხარისხთან. შესაბამისად, ასეთ პაციენტებში აუცილებელია ინსულინრეზისტენტობის მონიტორინგი, რაც ხელს შეუწყობს აღნიშნულ კონტინგენტში გართულებების დროულად თავიდან აცილებასა და პაციენტთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას.

საკვანძო სიტყვები: HCV-ინფექცია, ენდოგენური ინსულინი, გლუკოზა, C ჰეპტიდი

ვირუსული ჰეპატიტების გამომწვევ ეტიოლოგიურ აგენტთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას HCV იპყრობს.

C ჰეპატიტი უბიკვიტარული ვირუსული ინფექციაა. ის სადღეისოდ ჯანდაცვის ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემაა მთელს მსოფლიოში და, მათ შორის, საქართველოშიც.

"ჯანმო"-ს მონაცემებით, C ვირუსით ინფიცირებულთა რაოდენობა მსოფლიოში 200 მილიონს აჭარბებს [2], რაც დედამიწის მოსახლეობის 2.35%-ზე მეტს შეადგენს [7].

საქართველოს ნაციონალურ დაავადებათა კონტროლის ცენტრის მონაცემებით ინფიცირებულია მოსახლეობის 8%-ზე მეტი. ამ პაციენტთა 30%-ს უახლოეს ათწლეულში ღვიძლის ციროზი განუვითარდება [8].

ეროვნული ბიბლიოთეკა

C ჰეპატიტის პათოგენეზში მნიშვნელოვანია ვირუსის პირდაპირი ციტოპათიური ეფექტი ღვიძლის ქსოვილზე და იმუნური რეაქციები, რომელიც განაპირობებს არა მარტო ღვიძლის, არამედ სხვა ორგანოებისა და ქსოვილების დაზიანებას.

წლების მანძილზე HCV-ს მხოლოდ ჰეპატოტროპულ ვირუსად მიიჩნევდნენ, ვირუსის რეპლიკაციის არედ ღვიძლი და ინფექციის ერთადერთ გამოვლინებად ჰეპატიტი (მწვავე და/ან ქრონიკული) მიაჩნდათ. თუმცა დადგინდა, რომ ავადმყოფთა 70-75%-ს ღვიძლის დაზიანების პარალელურად აღენიშნება მრავალფეროვანი ღვიძლგარეშე გამოვლინება, რომელთა შორის მნიშვნელოვანია ენდოკრინული დარღვევების, კერძოდ მაღალი სიხშირით ინსულინრეზისტენტობის განვითარება [6].

არსებობს მონაცემები C ვირუსით გამოწვეული ღვიძლის ციროზის დროს შაქრიანი დიაბეტის მაღალი სიხშირით (50%-მდე) განვითარების შესახებ.

ბოლო წლებში მრავალი კვლევის შედეგი ადასტურებს HCV ინფექციის პირდაპირ კავშირს გლუკოზის მეტაბოლიზმთან. ტიპი 2 შაქრიანი დიაბეტი სარწმუნოდ ხშირია HCV-ასოცირებული ღვიძლის ციროზის მქონე პაციენტებში სხვა ეტიოლოგიის ციროზთან შედარებით [1, 5].

კვლევის მიზანია C ჰეპტიდისა და ინსულინის, როგორც ინსულინრეზისტენტობის მარკერების, როლისა და მნიშვნელობის შესწავლა HCV-ინფექციის იმუნოპათოგენეზში. C ჰეპტიდი ბიოლოგიურად არააქტიურია და ღვიძლში შედარებით ნაკლებ ტრანსფორმაციას ექვემდებარება. მისი დონე ინსულინის სეკრეციის უფრო სტაბილური ინდიკატორია, ვიდრე თვით ინსულინის სწრაფად ცვალებადი დონე.

გამოკვლეული იყო HCV ინფექციით დაავადებული 130 პაციენტი, რომელთა ასაკმა შეადგინა 18-78 წელი. 130 პაციენტიდან 20-ს მწვავე C ჰეპატიტის (18 მამაკაცი და 2 ქალი), 38-ს ქრონიკული C ჰეპატიტის (35 მამაკაცი და 3 ქალი) დიაგნოზი დაესვა. 72-ს აღენიშნა ქრონიკული C ჰეპატიტი ციროზის სტადიაზე (62 მამაკაცი და 10 ქალი). პაციენტები HCV ციროზით დაყოფილი იყვნენ 3 ჯგუფად. ციროზის A სტადია – 10 შემთხვევაში (6 მამაკაცი და 4 ქალი), B სტადია – 14 შემთხვევაში (12 მამაკაცი და 2 ქალი) და C სტადია – 48 შემთხვევაში (42 მამაკაცი და 6 ქალი) გამოვლინდა. საკონტროლო ჯგუფი შეადგინა 30-მა პრაქტიკულად ჯანმრთელმა პირმა. პაციენტებს სტაციონარული მკურნალობა უტარდებოდათ ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრში. C ჰეპატიტის დიაგნოზი დაისვა სეროლოგიური (შრატში ანტი-HCV აღმოჩენა ELIZA-3-ით), ვირუსოლოგიური (ვირუსის RNA – ჯაჭვური პოლიმერაზული რეაქციით), ბიოქიმიური (სისხლში ALT, AST, GGT-ს განსაზღვრით ულტრაიისფერი კინეტიკის მეთოდით, აპარატ Boeringen manheim-5010-ის გამოყენებით) და ექოდოპლეროგრაფიული კვლევის საფუძველზე. ყველა შემთხვევაში ფოტომეტრზე განსაზღვრული იყო გლუკოზის დონე, C პეპტიდის და ინსულინის მაჩვენებლები იმუნოფერმენტული ანალიზის მეშვეობით (Diagnostic Automation, I nc ტესტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სისტემით). მიღებული შედეგები დამუშავდა ANOVA-ს სტატისტიკური ტესტით. ეს მაჩვენებლები შეფასდა დაავადების სიმძიმისა და სტადიის გათვალისწინებით.

ჩატარებული კვლევით დადგინდა, რომ HCV ციროზით პაციენტებში (A სტადია – 3.4 ± 0.7; B სტადია – 5.3 ± 0.9; C სტადია – 6.5 ± 0.8) C პეპტიდის მაჩვენებელი სარწმუნოდ მაღალია ქრონიკული C ჰეპატიტით პაციენტებთან შედარებით (2.8 ± 0.8). ასევე მაღალია ინსულინის მაჩვენებელი HCV ციროზით პაციენტებში B და C სტადიაზე (A სტადია – 9.6 ± 2.9; B სტადია – 23.3 ± 3.5; C სტადია – 28.8 ± 5.4), ქრონიკული C ჰეპატიტით პაციენტებთან შედარებით (9.1 ± 1.5). C პეპტიდის და ინსულინის მაჩვენებლები არ განსხვავდებოდა მწვავე HCV ინფექციით პაციენტებისა და საკონტროლო ჯგუფის (ჯანმრთელები) მაჩვენებლებს შორის. კვლევებმა ასევე აჩვენა კავშირი ინფექციური პროცესის სტადიასა და ნახშირწყლების ცვლის მაჩვენებლების დარღვევასთან.

ცხრილი 1

C პეპტიდისა და ინსულინის მაჩვენებლები HCV-ინფექციით დაავადებულ პაციენტებში

	C პეპტიდი (ng/ml)		ინსულინი (мME/ml)	
	ინტერვალი	საშ. არით. ± სტანდ. გადახრა	ინტერვალი	საშ. არით. ± სტანდ. გადახრა
მწვავე HCV	0.7-2.6	1.7 ± 0.6	4.9-9.1	5.9 ± 3.2
ქრონიკული HCV	0.8-3.5	2.8 ± 0.8	7.1-11.2	9.1 ± 1.5
HCV ციროზი				
Child A სტადია	2.5-4.2	3.4 ± 0.7	8.7-11.7	9.6 ± 2.9
Child B სტადია	3.9-6.4	5.3 ± 0.9	15-27.6	23.3 ± 3.5
Child C სტადია	5.3-7.5	6.5 ± 0.8	17-35.1	28.8 ± 5.4
კონტროლი	0.5-2.8	1.7 ± 0.7	3.6-8.7	5.2 ± 2.9
P value[1]	< 0.001		< 0.001	

ამრიგად, ჩვენი კვლევის შედეგებმა აჩვენა C ჰეპატიტით პაციენტებში C პეპტიდისა და ინსულინის მაჩვენებლების მომატება, რაც მიუთითებს ინსულინრეზისტენტობის არსებობაზე. სავარაუდოდ, ეს ცვლილებები ღვიძლის პროგრესირებადი დაზიანების ერთ-ერთი ხელშემწყობი ხდება.

C პეპტიდისა და ინსულინის მაჩვენებლები HCV ციროზით პაციენტებში სარწმუნოდ მაღალია მწვავე და ქრონიკული C ჰეპატიტით პაციენტებისა და საკონტროლო ჯგუფის მაჩვენებლებთან შედარებით.

ჩვენი შედეგებით დასტურდება, რომ ინსულინრეზისტენტობა ქრონიკული C ჰეპატიტით პაციენტების ხშირი თანამგზავრია, რაც სხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვლევებითაც გამოვლინდა [9]. HCV იწვევს ნახშირწყლების მეტაბოლიზმის დარღვევას და, შესაძლოა, ხელი შეუწყოს ინსულინრეზისტენტობის განვითარებას [4]. თავის მხრივ, ინსულინრეზისტენტობა ღვიძლის ფიბროზის პროგრესირების დამოუკიდებელი ფაქტორია [3]. ტიპი 2 შაქრიანი დიაბეტი სარწმუნოდ ხშირად გვხვდება ღვიძლის ფიბროზის შორსწასულ სტადიაზე [10]. გამომდინარე აქედან, აუცილებელია ქრონიკული C ჰეპატიტით პაციენტებში ინსულინრეზისტენტობის მონიტორინგი, რაც კლინიკურ პრაქტიკაში მარტივი განსახორციელებელია გლუკოზის, C პეპტიდისა და ინსულინის მაჩვენებლების განსაზღვრით. ინსულინრეზისტენტობის და C ჰეპატიტის ადრეული დიაგნოსტიკა და თერაპია მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს HCV ინფექციით პაციენტებში გლუკოზის ცვლის მაჩვენებლებს, ეს კი საბოლოოდ ხელს შეუწყობს აღნიშნულ კონტინგენტში გართულებების დროულად თავიდან აცილებას და სიცოცხლის გახანგრძლივების და/ან ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების წინაპირობა გახდება.

ლიტერატურა

1. *Allison M.D., Wreghitt T., Palmer C.R. et al.* J. Hepatology, 1994, 21, 1135-1139.
2. *Alter M.J., Kruszon-Moran D., Nainan O.V et al.* N.Engl.J.Med.,1999.34, 556-562.
3. *Bugianesi E., Marchesini G., Gentilcore E. et al.* Hepatology, 2006, 44, 1648-1655.
4. *Ernandez C., Genesca J., Esteban J.I., Hardi R., Garsia L., Knobler H., Schihmanter R., Zifroni A.* Mayo Clin. Proc., 2000, 75, 355-359.
5. *Fartoux L., Poujol-Robert A., Guechot J., Wendum D., Poupon R., Serfaty I.* Gut, 2005, 54, 1003-1008.
6. *Kaddai V., Negro F.* Expert Rev. Gastroenterol. Hepatol., 2011, 5, 503-516.
7. *Lavanchy D.* Clin. Microbiol. Infect., 2011, 17, 107-115.
8. *Strader D.B., Wright T., Thomas D.L., Seef L.B.* Hepatol., 2004, 39, 1147-1171.
9. *Wang C.S., Wang S.T., Yao W.J., et al.* Am. J. Epidemiol., 2003, 158, 1154-1160.
10. *Zein C.O., Levy C., Basu A. et al.* Am. J. Gastroenterol., 2005, 100, 48-55.

С-ПЕПТИД И ЭНДОГЕННЫЙ ИНСУЛИН У ПАЦИЕНТОВ С HCV-ИНФЕКЦИЕЙ

Е. Вашакидзе, Т. Бочоришвили

ТГМУ, Департамент инфекционных заболеваний

РЕЗЮМЕ

Целью исследования было изучение роли резистентности к инсулину у больных с HCV-инфекцией. Были исследованы 130 пациентов: 20 – с острым гепатитом С, 38 – с хроническим гепатитом С, 72 – с циррозом печени. Исследование показало, что уровень сывороточного С-пептида и инсулина у пациентов с циррозом печени выше, чем у больных

с острой и хронической HCV-инфекцией. Измерение этих показателей необходимо для мониторинга пациентов с резистентностью к инсулину, которая будет способствовать предотвращению осложнений и может улучшить качество жизни пациентов.

C-PEPTIDE AND ENDOGENIC INSULIN IN PATIENTS WITH HCV INFECTION

E. Vashakidze, T. Bochorishvili

Tbilisi State Medical University, Department of Infectious Diseases

SUMMARY

The aim of investigation was to study the role of insulin resistance in patients with HCV infection. Total of 130 patients were investigated: 20 – with acute hepatitis C; 38 – with chronic hepatitis C; 72 – with cirrhosis. The study has demonstrated that the serum level of C-peptide and insulin in patients with liver cirrhosis is higher, than in patients with acute and chronic HCV infection. This is necessary for the monitoring of patients with insulin resistance, which will contribute to the prevention of complications and can improve life quality of patients.

საქ. მეცნ. ეროვნ. აკად. მაცნე, ბიომედ. სერია, 2012, ტ.38, № 5-6 ISSN-0321-1665
Известия нац. АН Грузии, биомед. серия, 2012, т. 38, № 5-6
Proc. Georgian Nat. Acad. Sci., Biomed. Series, 2012, vol. 38, No 5-6

ინტერლეიკინ-10-ის როლი და მნიშვნელობა HCV ინფექციით დაავადებულ პაციენტებში

ე. ვაშაკიძე ი. მიქაძე

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ინფექციურ დაავადებათა დეპარტამენტი

კვლევის მიზანი იყო სისხლის იმუნური უჯრედების მიერ ციტოკინების წარმოქმნის უნარის შესწავლა C ჰეპატიტის დროს ინფექციური პროცესისა და ღვიძლის ციროზის სტადიის გათვალისწინებით. გამოკვლეული იყო 130 ავადმყოფი: 72 ღვიძლის ციროზით: მათ შორის 10 – ციროზის A სტადიით, 14 – B სტადიით და 48 – C სტადიით. ვირუსული C ჰეპატიტის შემთხვევაში გამოვლენილ იქნა იმუნური უჯრედების მიერ ციტოკინების წარმოქმნის მნიშვნელოვანი ცვლილებები, რაც კორელაციაშია ღვიძლის დაზიანების სიმძიმესთან. მიღებული შედეგების ანალიზისას დადგინდა, რომ ქრონიკული C ჰეპატიტის მიმდინარეობისა და ღვიძლის ციროზის სხვადასხვა სტადიების დროს აღინიშნება ანტიანთებითი ციტოკინის პროდუქციის დისბალანსი, კერძოდ კი, ინტერლეიკინ 10-ის (IL-10) მაჩვენებლის მნიშვნელოვანი ზრდა, რაც განსაკუთრებით გამოხატულია ღვიძლის ძლიერი დაზიანების დროს.

საკვანძო სიტყვები: C ჰეპატიტი, ინტერლეიკინ-10, ციტოკინები, იმუნური პასუხი

C ჰეპატიტის ვირუსით ინფიცირებულია 170 მილიონზე მეტი ადამიანი და იგი ჯანმრთელობის დაცვის გლობალურ პრობლემას წარმოადგენს.

C ჰეპატიტი ღვიძლის პერსისტული ინფექციაა, რომელიც ღვიძლის ქრონიკული ანთების, ღვიძლის უკმარისობის და/ან ჰეპატოცელულარული კარცინომის ყველაზე ხშირი მიზეზია. ღვიძლის დეკომპენსირებული ციროზი, როგორც ქრონიკული C ჰეპატიტის შედეგი, ღვიძლის ტრანსპლანტაციის ძირითადი ჩვენებაა მთელს მსოფლიოში [4].

C ვირუსის პათოგენეზის კვლევაში მნიშვნელოვანი წარმატებების მიუხედავად, საბოლოოდ დადგენილი არ არის ის მექანიზმები, რომლითაც ინფიცირების შემდეგ ზოგ პაციენტში ვირუსის ელიმინაცია და სრული გამოჯანმრთელება ხდება, სხვა შემთხვევებში კი – ვირუსის პერსისტენცია და ღვიძლში პათოლოგიური პროცესების ქრონიზაცია. ასევე ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ მაშინ, როცა ზოგ პაციენტში ინფიცირებიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკლე დროში მნიშვნელოვანი გართულებები ვლინდება მძიმე ფიბროზისა და ჰეპატოცელულარული კარცინომის სახით, სხვა პაციენტებში ხანგრძლივი ინფიცირების მიუხედავად განვითარებული ფიბროზი უმნიშვნელოა. ფიბროზის პროგრესირების დამაჩქარებელ ფაქტორად მიჩნეულია ასაკი, ინფიცირების ვადა, სქესი, ალკოჰოლის მოხმარება და ა. შ. გარდა ვირუსის და გარემო ფაქტორებისა ინფექციის მიმდინარეობაში, ფიბროზის პროგრესირებასა და მკურნალობის გამოსავალში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ პაციენტის გენეტიკურ ფაქტორებს. თუმცა, გენეტიკური განწყობა ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე შესწავლილი. უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვან როლს ანიჭებენ ცვლილებებს პროანთებით გენებში (MCPI, CCR5, IL-10), რომლებიც ასოცირებულია ქრონიკული C ჰეპატიტით პაციენტებში ფიბროზის სწრაფ პროგრესირებასთან [7]. ციტოკინები ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რგოლია C ჰეპატიტის იმუნოპათოგენეზში, დაავადების პროგრესირებასა და მკურნალობის გამოსავალში.

ციტოკინები წარმოადგენენ მოლეკულების ქსელს, რომლებიც ჩართულნი არიან ანთებითი პასუხისა და ორგანული ფუნქციების ჰომეოსტაზის რეგულაციაში. გარდა ამისა, ციტოკინები ახდენენ ღვიძლში ისეთი ფიზიოლოგიური და პათოლოგიური პროცესების კოორდინაციას, როგორებიცაა: ღვიძლის ზრდა და რეგენერაცია; ანთებითი პროცესები ღვიძლის ვირუსული დაავადების ჩათვლით; ღვიძლის ფიბროზი და ციროზი. ღვიძლის ზრდისა და რეგენერაციის რეგულაციას ახდენს რამდენიმე ციტოკინი. უჯრედული იმუნური პასუხი ცენტრალურ როლს ასრულებს ჰეპატოცელულარული ნეკროზის განვითარებასა და იმუნოგენეტიკურ პროცესებში, რომლებიც ჩართულია ვირუსის კლირენსში ან მის პერსისტირებაში. იმის გამო, რომ ციტოკინების პროდუქციის კონტროლი კომპლექსურია და ციტოკინების ეფექტები ვრცელდება მრავალი ქსელის საშუალებით, მათი შესწავლა მნიშვნელოვანი უნდა იყოს დაავადების იმუნოპათოგენეზის უკეთ გარკვევაში, ამასთან შესაძლებლობას იძლევა მოხდეს ანტივირუსულ თერაპიაზე პასუხის პროგნოზირება [6].

ინტერლეიკინ-10-ის (IL-10), როგორც ანტიანთებითი ციტოკინის მიმართ მნიშვნელოვანი ინტერესის გაჩენა განპირობებულია მისი უნარით მოახდინოს ლიმფოციტების დეაქტივაცია როგორც in vivo, ისე in vitro ცდებში. ენდოტოქსემიის ექსპერიმენტულ მოდელსა და სეფსისის კვლევებში აღნიშნულია IL-10-ს სეკრეციის ორფაზიანი პასუხი, როდესაც პირველი მატება დაკავშირებულია ანტიანთებითი მედიატორების გამოთავისუფლებასთან, ხოლო მეორე ასოცირებულია ენდოტოქსემიის გვიან სტადიასა და მონოციტების დეაქტივაციასთან [9].

IL-10 პლეიოტროპული ციტოკინია, მკაცრად გამოხატული ანთიანთებითი და იმუნოსუპრესორული თვისებებით და რომელიც წარმოიქმნება აქტივირებული B, T უჯრედების, მონოციტებისა და კერატინოციტების მიერ. IL-10-ს გენი იყოფა ხუთ ექსონად და მდებარეობს პირველ ქრომოსომაზე. იგი აინჰიბირებს ზოგიერთი ციტოკინის პროდუქციას, IL-2, IL-3, INF-γ, GM-CSF

ეროვნული ბიბლიოთეკა

და TNF ჩათვლით და მიეკუთვნება Th2 ციტოკინების კატეგორიას. მწვავე C ჰეპატიტის დროს ვირუსული ანტიგენის საპასუხოდ პერიფერიული სისხლის CD4 T უჯრედების მიერ Th1 ტიპის ციტოკინების პროდუქცია კორელაციაშია თვითგანკურნებად ინფექციასთან მაშინ, როდესაც Th2 ტიპის ციტოკინური პასუხის შემთხვევაში უფრო ხშირია ქრონიკული ინფექციის განვითარება. ამრიგად, ქრონიკული C ჰეპატიტისთვის დამახასიათებელია Th2 ტიპის ციტოკინების მაჩვენებლების მატება და Th 1 ტიპის ციტოკინების მაჩვენებლების დაქვეითება [1].

რადგან IL-10 წარმოადგენს მნიშვნელოვან იმუნომოდულატორულ ციტოკინს, რომელიც ახდენს Th1 ტიპის შეძენილი იმუნიტეტის სუპრესიას, ამ შრომაში ჩვენ მიერ შესწავლილი იყო IL-10-ს მაჩვენებლები HCV პაციენტებში. გამოკვლეული იყო HCV-ით ინფიცირებული 130 პაციენტი, რომელთა ასაკმა შეადგინა 18-78 წელი. 130 პაციენტიდან 20-ს მწვავე C ჰეპატიტის (18 მამაკაცი და 2 ქალი), 38-ს ქრონიკული C ჰეპატიტის (35 მამაკაცი და 3 ქალი) დიაგნოზი დაესვა. 72-ს აღენიშნა – C ჰეპატიტი ღვიძლის ციროზის სტადიაზე (62 მამაკაცი და 10 ქალი). პაციენტები HCV ციროზით დაყოფილი იყო 3 ჯგუფად. ციროზის A სტადია – 10 შემთხვევა (6 მამაკაცი და 4 ქალი), B სტადია – 14 შემთხვევა (12 მამაკაცი და 2 ქალი) და C სტადია – 48 შემთხვევა (42 მამაკაცი და 6 ქალი). საკონტროლო ჯგუფი შეადგინა 30 პრაქტიკულად ჯანმრთელმა პირმა. პაციენტებს სტაციონარული მკურნალობა უტარდებოდათ ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრში. C ჰეპატიტის დიაგნოზი დაისვა სეროლოგიური (შრატში ანტი-HCV აღმოჩენა ELIZA-3-ით), ვირუსოლოგიური (ვირუსის RNA – სისხლში ჯაჭვური პოლიმერაზული რეაქციით), ბიოქიმიური (სისხლში ALT, AST, GGT-ს განსაზღვრით ულტრაიისფერი კინეტიკის მეთოდით, აპარატზე Boeringen manheim-5010), ექოდოპლეროგრაფიული კვლევის საფუძველზე. ყველა შემთხვევაში განსაზღვრული იყო IL-10-ს მაჩვენებელი სისხლის შრატში R&D systems-ის იმუნოფერმენტული ანალიზის მეშვეობით. მიღებული შედეგები დამუშავდა ANOVA-ს სტატისტიკური ტესტით. ეს მაჩვენებლები შეფასდა დაავადების სიმძიმისა და სტადიის გათვალისწინებით.

ჩატარებული კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ყველა პაციენტს C ჰეპატიტით, ინფექციური პროცესის სტადიის მიუხედავად, აღენიშნებოდა IL-10-ს მაჩვენებლის სარწმუნო და მნიშვნელოვანი მატება ჯანმრთელ კონტროლთან შედარებით. პაციენტებში HCV ციროზით (A სტადია 32.9 ± 2.57; B სტადია 44.06 ± 4.25; C სტადია 65 ± 7.9) IL-10-ს მაჩვენებელი გაცილებით უფრო მაღალი იყო, ვიდრე მწვავე (22.9 ± 1.8) და ქრონიკული ჰეპატიტით პაციენტებში (26.9 ± 1.25, $p < 0.001$). ჩვენ მიერ ჩატარებულმა კორელაციურმა ანალიზმა აჩვენა ინფექციური პროცესის სტადიასა და IL-10-ის მაჩვენებლების ზრდას შორის კავშირი.

ქრონიკული C ჰეპატიტი მთელს მსოფლიოში მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. C ჰეპატიტის ქრონიზაციის ძირითადი მექანიზმი ბოლომდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესწავლილი არ არის. გარდა უნიკალური მუტაგენური თვისებებისა, C ჰეპატიტის ვირუსი დამთრგუნველად მოქმედებს იმუნურ სისტემაზე, მათ შორის IL-10-ის პროდუცირებაზე. ეს ერთ-ერთი სავარაუდო მექანიზმია, რითაც იგი "უსხლტება" მასპინძელი ორგანიზმის იმუნურ სისტემას [8].

ინტერლეიკინ-10 (IL-10)-ის თანდაყოლილი იმუნიტეტის ძლიერი სუპრესიის მეშვეობით ციტოკინი აინჰიბირებს პროანთებით პასუხს, რაც, თავის მხრივ, შეძენილ იმუნიტეტზე მოქმედებს. IL-10 პროდუცირდება აქტივირებული B, T უჯრედების, მონოციტებისა და კერატინოციტების მიერ და მისი მოქმედება პლეოტროპულია მრავალი უჯრედის მიმართ. ძირითადად, იგი იწვევს იმუნური პასუხის სუპრესიას, რადგან აინჰიბირებს პროანთებითი და ანტივირუსული ციტოკინების პროდუქციას, როგორებიცაა TNF-α და IFN-γ. გარდა ამისა, IL-10 აინჰიბირებს CD4+ T-ჰელპერების პროლიფერაციასა და აქტივაციას. IL-10-ის ცვლილება მიჩნეულია ერთ-ერთ მექანიზმად, რომელიც C ვირუსით ინფიცირებისას ქრონიკული ანთების განვითარებისა და მისი პროგრესირების ხელშემწყობია [2]. ჩვენს კვლევაში IL-10-ის მაღალი მაჩვენებლები აღენიშნათ ქრონიკული C ჰეპატიტით პაციენტებს. სისხლის შრატში IL-10-ის კონცენტრაცია ღვიძლის ციროზით პაციენტებში (A სტადია – 32.9 ± 2.57; B სტადია – 44.06 ± 4.25; C სტადია – 65 ± 7.9) უფრო მაღალი იყო, ვიდრე ქრონიკული (26.9 ± 1.25) და მწვავე (22.9 ± 1.8) C ჰეპატიტით პაციენტებში.

IL-10 მნიშვნელოვანი იმუნორეგულატორული ციტოკინია და მისი ძირითადი ბიოლოგიური ფუნქციებია ანთებითი პასუხის შეზღუდვა-დასრულება და B, T, NK, ანტიგენ-წარმომადგენელი უჯრედების და გრანულოციტების დიფერენციაციისა და პროლიფერაციის რეგულირება. გარდა ამისა, IL-10 IFN-γ პროდუცირების ინჰიბირების გზით განაპირობებს Th2 ტიპის ციტოკინების წარმოქმნას [3].

ჩვენი კვლევით დადგინდა, რომ IL-10-ის კონცენტრაცია მომატებულია პაციენტთა ყველა ჯგუფში. IL-10-ს მაჩვენებელი HCV ციროზით პაციენტებში სარწმუნოდ მაღალია მწვავე და ქრონიკული C ჰეპატიტით პაციენტების მაჩვენებლებთან შედარებით. ასევე, ქრონიკული C ჰეპატიტით პაციენტებში სარწმუნოდ მაღალია მწვავე C ჰეპატიტთან შედარებით.

ამრიგად, C ჰეპატიტით პაციენტებში დაავადების პროგრესირება ასოცირდება IL-10-ის მაღალ შემცველობასთან. პერსისტული ინფექციის პირობებში ირღვევა ბალანსი მასტიმულირებელსა და მაინჰიბირებელ ციტოკინებს შორის, რასაც მივყავართ ანთების გახანგრძლივებამდე, რასაც ღვიძლში ნეკროზის პროგრესირება და ფიბროზის განვითარება მოჰყვება. ეს მონაცემები ცხადყოფს, რომ T-ჰელპერების ციტოკინების დისრეგულაცია Th2 ტიპის ციტოკინების სასარგებლოდ მნიშვნელოვან როლს უნდა თამაშობდეს ქრონიკული C ჰეპატიტის იმუნოპათოგენეზში. სავარაუდოდ, IL-10-ის ჭარბი პროდუქცია აინჰიბირებს იმ ტიპის იმუნურ პასუხს, რომლის განხორციელება აუცილებელია ვირუსის ელიმინაციისთვის. ესენია Th1 ტიპის T-ჰელპერების ლიმფოციტური პასუხი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროანთებითი ციტოკინების (TNF-α and IFN-γ) სეკრეცია. მონოციტების და მაკროფაგების მიერ ციტოკინების გაუკუღმართებული სეკრეციის პირობებში ეს უჯრედები ვეღარ უზრუნველყოფენ ეფექტური ანტივირუსული იმუნური პასუხის განხორციელებას, რაც ორგანიზმში C ვირუსის პერსისტენციას უწყობს ხელს [5]. T-ჰელპერების Th1 და Th2 ტიპის ციტოკინებს შორის დისბალანსი Th2 ტიპის სასარგებლოდ არაა მიმართული ვირუსის ელიმინაციისკენ, იგი მხოლოდ ზღუდავს ანთების ინტენსივობას, ეს, თავის მხრივ, ვირუსის გაგრძელებული აგრესიისა და ღვიძლის შემდგომი დაზიანების ხელშემწყობია.

ლიტერატურა

1. *Abdallah N., Abdel A., Hamed N.A., Gamal M.* J. Venom. Anim. Toxins inc. Trop. Dis., 2010, 16, is. 3.
2. *Abel M., Sene D., Pol S., Bourliere M., Poynard T. et al.* Journal of Hepatology 2006; 44:1607-1616.
3. *De Maria A., Fogli M., Mzza S., Basso M., Picciotto A. et al.* Eur. J. Immunology, 2007, 37, 445-455.
4. *Kaplan D.E., Ikeda F., Li Y., Nakamoto N. et al.* Journal of Hepatology, 2008, 48, 903-913.
5. *Marshall T.D., Romics L. Jr., Mandrekar P., Dolganiuc A., Kodys K., Kopasz A.* J. Immunol., 2003, 170, 5615-5624.
6. *Selzner N., McGilvray I.* Journal of Hepatology, 2008, 49, 494-497.
7. *Rose N.R., Hamilton R.G., Detrick B.* Manual of Clinical Laboratory Immunology, 2002, sixth edition; chapter 35, 328-330.
8. *Szabo G., Chang S., Dolganiue A.* Journal of Hepatology 2007, 1279-1290.
9. *William E.P.* Fundamental Immunology, 2003, fifth edition: chapter 39, 1206-1210.

РОЛЬ И ЗНАЧЕНИЕ ИНТЕРЛЕЙКИНА-10 У ПАЦИЕНТОВ С HCV ИНФЕКЦИЕЙ

Е. Вашакидзе, И. Микадзе

ТГМУ, Департамент инфекционных заболеваний

РЕЗЮМЕ

Целью исследования было изучение цитокинпродуцирующей способности иммунных клеток крови при вирусном гепатите С в зависимости от стадии инфекционного процеса и цирроза печени. Обследовано 130 больных: 72 – с циррозом печени. Среди них: 10 – с А стадией цирроза, 14 – с В стадией и 48 с С стадией. При вирусном гепатите С выявлены значительные изменения цитокинпродуцирующей способности иммунных клеток крови, коррелирующие с тяжестью поражения печени. Оценивая полученные результаты, можно отметить, что при различных вариантах течения хронической вирусной инфекции гепатита С и стадиях цирроза, установлен дисбаланс в продукции противовоспалительного цитокина в виде значительного повышения уровня интерлейкина-10 (IL-10), наиболее выраженного при тяжелом поражении печени.

ეროვნული ბიბლიოთეკა

THE ROLE AND MEANING OF INTERLEUKIN-10 IN PATIENTS WITH HCV INFECTION

E. Vashakidze, I. Mikadze

TSMU, Department of Infectious Diseases

SUMMARY

The aim of investigation was the study of cytokine-producing ability of blood immune cells in type of viral hepatitis C, correlation with the degree of hepatic lesion and liver cirrhosis. Total of 130 patients were investigated: 72 with cirrhosis: among them 10 with Stage A, 14 with Stage B and 48 with Stage C. The study demonstrates the significant changes in cytokine-producing ability of blood immune cells type of viral hepatitis C, correlation with the degree of hepatic lesion and liver cirrhosis. The results showed that various types of chronic viral hepatitis C and the stages of cirrhosis were associated with disbalance in production of anti-inflammatory cytokine, i.e. a significant rise of Interleukin-10 concentration, which was the most prominent in cases of severe hepatic lesion.

საქ. მეცნ. ეროვნ. აკად. მაცნე, ბიომედ. სერია, 2012, ტ.38, № 5-6 ISSN-0321-1665
Известия нац. АН Грузии, биомед. серия, 2012, т. 38, № 5-6
Proc. Georgian Nat. Acad. Sci., Biomed. Series, 2012, vol. 38, No 5-6

ცხენის შერჩევა რაიტთერაპიის პროცედურებისთვის

ჯ. ზალდასტანიშვილი

პ. შოთაძის სახ. თბილისის სამედიცინო აკადემია

ცხენის ინდივიდუალური შერჩევა – დაკავშირებული იქნება ეს სპორტთან თუ ცხენის სხვა მიზნებით გამოყენებასთან, ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან დატვირთვა, რომელსაც მხედარი იღებს სხვადასხვა ცხენებზე, სხვადასხვაგვარია და დამოკიდებულია ცხენის ტემპერამენტზე, ხასიათზე, ჯიშზე, იმპულსურობასა და მისი მართვის სირთულეზე.

ცხენის ხასიათის შეცნობის ხელოვნება წარმოადგენს უძველეს ტრადიციას მთელი რიგი ხალხების, მათ შორის უდიდესი მეცხენეების, ბედუინების კულტურაში, რომელთა მიხედვითაც თმის ნახვევების მდებარეობა და რიცხვი ცხენის თავზე ცხოველის ხასიათსა და ტემპერამენტის მაჩვენებელს წარმოადგენს.

ცნობილი ამერიკელი მკვლევარების ლ. ტელინგტონ-ჯონსის და ტეილორის მიხედვით [1], ცხენის ქცევის თავისებურებებზე მიუთითებს ერთად გაანალიზებული თავის ზომა და ფორმა, პროფილი და "ჯდომა", მასზე არსებული თმის ნახვევები და სხეულის პროპორციები, რის საფუძველზეც მათ დაადგინეს ცხენების ორ ათეულზე მეტი ხასიათი.

იმის გათვალისწინებით, რომ ლ. ჯონსის მეთოდის გამოყენება მნიშვნელოვანია რაიტთერაპიისთვისაც, ჩვენ მიზნად დავისახეთ რაიტთერაპიის პროცედურებისთვის ცხენების შეძენის მსურველებს დავხმარებოდით ცხენების სწრაფად და უშეცდომოდ შერჩევაში მათი "პერსონის", მომზადების და დაავადებების პათოგენეზის შესაბამისად.

საკვანძო სიტყვები: რაიტთერაპია, ცხენი, შერჩევა

ცხენისა და მხედრის ურთიერთობამ შეიძლება გაამრავალფეროვნოს და გაალამაზოს ორივეს ცხოვრება. ცხენოსნობაში მეცადინეობით თქვენ თავს დამოუკიდებელ, გაბედულ და ბედნიერ ადამიანად იგრძნობთ და ამან შეიძლება კეთილსასურველად იმოქმედოს თქვენი ცხოვრების ყველა სფეროზე.

ცხენები პრინციპში კეთილი და მადლიერი ცხოველები არიან, მაგრამ, შესაძლებელია, ისინი საშიშიც იყვნენ, რაც მხედრის ნერვიულობის ხშირი მიზეზი ხდება.

თანაარსებობის პროცესში ცხენის ქცევაზე დაკვირვებებმა მისი ფსიქიკური განწყობის შესახებ დასკვნების გაკეთების საშუალება მოგვცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთი დასკვნების საგანია: თვალები, ყურები, კუდი, ხმა, ჭიხვინი, ხვიხვინი, ოფლის გამოყოფა და სიარულის მანერა.

დაკვირვების საინტერესო შედეგები აქვს მოყვანილი თავის წიგნში გერმანელ ავტორს ე. ეზეს [2]. იგი აღნიშნავს, რომ წყნარი, ჯანმრთელი, კეთილად მომზირალი თვალები კარგი ხნის მაჩვენებელია, მოუსვენარი, ტანჯული გამოხედვა კი – სიმფრთხალისა.

ყურების მდგომარეობა ცხენის განწყობილების მნიშვნელოვანი ნიშანია. წინ მიმართული ყურები გაწონასწორებულ განწყობილებაზე მეტყველებს, კეფაზე გადაწყობილი კი თავდაცვისთვის მზადყოფნაზე მიუთითებს. მოძრაობის ტაქტში წყნარად მოქანავე კუდი ძალდაუტანებელი მოძრაობისა და კარგი განწყობილების უტყუარი ნიშანია. ფიზიკური და ფსიქიკური დაძაბულობის გამომხატველია სხეულზე მჭიდროდ მიკრული ან უკან გაშვერილი კუდი. თუ ცხენი ხანგრძლივი ნავარდის დროს კუდის ტრიალს იწყებს, ეს დაღლილობის ნიშანია.

ძალზე მნიშვნელოვანია ცხენის ინდივიდუალური შერჩევა, რადგან დატვირთვა, რომელსაც მხედარი იღებს სხვადასხვა ცხენებზე, სხვადასხვაგვარია, რაც ცხენის ტემპერამენტზე, ხასიათზე, ჯიშზე, იმპულსურობასა და მისი მართვის სირთულეზეა დამოკიდებული.

ცხენის ხასიათის შეცნობის ხელოვნება მთელი რიგი ხალხების კულტურაში უძველეს ტრადიციას წარმოადგენს. ლ. ტელინგტონ-ჯონსის [1] მიხედვით, ბოშები ევროპასა და აზიაში, რომლებსაც არაჩვეულებრივად კარგად ესმოდათ ცხენებისა, მათი ხასიათის ანალიზისას იმავე მეთოდს იყენებდნენ, რაც ჩრდილოეთ აფრიკისა და არაბეთის უდაბნოების უდიდესი მეცხენეები – ბედუინები. ამ მეთოდის მიხედვით, ცხენის თავზე თმის ნახვევების განლაგება და რიცხვი ცხოველის ტემპერამენტისა და ხასიათის მაჩვენებელია.

უნდა ითქვას, რომ ბევრი ქცევითი პრობლემა, რომელსაც ცხენის უხასიათობას უკავშირებენ, ხშირად მის ორგანიზმში არსებული დისკომფორტისგან წარმოიშობა.

მაგალითად, ცხენს შეუძლია რეაგირება მოახდინოს დისკომფორტზე ან ტკივილზე, რომელიც ცუდი კონფორმაციითაა გამოწვეული. შესაბამისად, წინააღმდეგობა ან მუშაობის უნდობლობა შეიძლება წარმოიშვას არა ცხენის ნაკლოვანებებით, არამედ არასწორად მორგებული უნაგირით ან მხედრის გაუწონასწორებელი ჯდომით, რომელიც მას ტკივილს აყენებს.

არსებობს აზრი, რომ ცხენი უნდა დაიმორჩილო, რადგან ზედმეტი ლოლიავი აფუჭებს მას, ანუ სიჯიუტე, წინააღმდეგობა ანდა სიხარამაცე მისი დამახასიათებელი თვისებებია, რომელთაც ძალის გამოყენებით უნდა გაუსწორდე.

მაგრამ, თუ ჩვენ ცხენებს განვიხილავთ, როგორც "ინდივიდებს", ჩვენი მოქმედებები მოქნილი ხდება, ჩვენ აღარ გვეშინია ვიყოთ კეთილები ცხენების მიმართ. ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს მათზე კონტროლის დაკარგვას.

ცხენის ხასიათის შეცნობა – ეს ხელოვნებაა, მაგრამ დახელოვნებისთვის საჭირო ცოდნა-ჩვევების დაუფლება, რის შემდეგ თქვენ ცხენს შეხედავთ სხვა თვალებით – დაასკვნის ლ. ჯონსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლინდა ტელინგტონ-ჯონსი, რომელიც ღრმა ინდივიდუალობით, ენერგიითა და ცნობისმოყვარეობითაა აღსავსე, თავის ნაშრომში ცხენი წარმოაჩინა არა როგორც ვიწრო სპეციალისტისთვის ფრაგმენტებად დაყოფილი სამყაროს ნაწილები, არამედ სამყაროს ერთი მთლიანი და უნიკალური წარმომადგენელი. ჯონსის წიგნი – "როგორ შევარჩიოთ და აღვზარდოთ ცხენი" სხვადასხვა ელემენტების ენციკლოპედიური წარმოდგენაა, რომელიც ცხენის ხასიათს განსაზღვრავენ.

ჯონსის მიხედვით, ცხენის ქცევის თავისებურებებზე მიუთითებს თავის ფორმა და ზომა, მისი პროფილი და "ჯდომა". თავის ფორმა, მასზე არსებული თმის ნახვევები და სხეულის პროპორციები გაანალიზებული ერთად, ახალ აზრს ღებულობს და ცხენის ხასიათზე საერთო წარმოდგენას იძლევა.

ხაზგასმულია, რომ ცხენის თავი მისი ინდივიდუალობის მთავარი გამომხატველია. დიდი მნიშვნელობა აქვს ყურების, თვალების, პროფილის, შუბლის, ნესტოების, ცხვირის ქვედა ფუძის, ყბის, ტუჩების და ნიკაპის განლაგებას, ფორმასა და ზომას.

ლ. ჯონსის მეთოდი განუმეორებელია ნებისმიერი ადამიანისთვის, რომელსაც ცხენთან შეხება ექნება, მიუხედავად იმისა, დაკავშირებული იქნება ეს მაღალი მიღწევების სპორტთან თუ ცხენის სხვა მიზნებით გამოყენებასთან. ძალზე მნიშვნელოვანია ამ მეთოდის გამოყენება რაიტთერაპიაშიც.

გასათვალისწინებელია, რომ სხვადასხვა დაავადებათა სამკურნალოდ დანიშნული რაიტთერაპიის პროცედურების დროს ცხენ-მხედრის ხასიათის შეუთავსებლობას, ცხენის წონას ან სიმაღლესაც კი შეიძლება ჰქონდეს გავლენა მკურნალობის ეფექტურობაზე. ცხენის შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იყოს არა მხოლოდ დაავადება, არამედ პაციენტის ინდივიდუალობაც და მომზადებაც. ასეთი ამოცანის გადასაწყვეტად ლ. ჯონსის მეთოდი ზედგამოჭრილია, რადგან ცხენის სწრაფად (რაც ძალზე მნიშვნელოვანია) და თითქმის უშეცდომოდ შერჩევის საშუალებას იძლევა.

ცხენის შეძენისას როგორ უნდა დაადგინოთ, შეძლებთ თუ არა კარგი დამოკიდებულების დამყარებას მასთან? როგორ გავიგოთ, გამოდგება თუ არა ეს ცხენი თქვენთვის დანიშნული პროცედურებისთვის? იქნება თუ არა იგი კარგი პარტნიორი პირადად თქვენთვის არა მხოლოდ ტემპერამენტიდან, არამედ თქვენი მომზადებიდან გამომდინარე? როგორ შეიძლება განისაზღვროს თქვენსა და ცხენს შორის წარმოშობილი სიძნელეები – თქვენი ხასიათების შეუსაბამობით თუ უბრალოდ გაუგებრობით?

შერჩევის გასამარტივებლად ლ. ჯონსს ცხენის თავის ფოტოებზე დაკვირვებების საფუძველზე გაანალიზებული და დადგენილი აქვს ცხენის სხვადასხვა ხასიათი, თუმცა, როგორც თვითონ აღნიშნავს, მათი ერთმანეთისგან განსასხვავებლად იგი ბევრად მეტ დეტალს ხედავს.

რადგან რაიტთერაპიის პროცედურები ცხენთა შემადგენლობის ასეთ ზუსტ დიფერენციაციას არ მოითხოვს, ხასიათის მსგავსი ელემენტების გაერთიანების საფუძველზე ჩვენ შევადგინეთ ცხენების 9 ჯგუფი: 1)

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყნარები და კარგი ხასიათის; 2) სანდონი; 3) მფრთხალები; 4) ნერვიულები; 5) მოუქნელნი; 6) რთული ხასიათის; 7) ნელა შემთვისებლები; 8) საშუალო ინტელექტით; 9) მაღალი ინტელექტით.

ქვემოთ, ჯგუფების შესაბამისად, წარმოვადგენთ ნახატებს, რომლებშიც ნათლადაა გამოხატული ცხენის თავის ინდივიდუალობის თითოეული დეტალი და მივანიშნებთ, თუ როგორ გამოიხატება თავზე არსებული თითოეული დეტალის თავისებურება ცხენის ინდივიდუალობაზე (ხასიათსა და ქცევაზე).

I. წყნარები და კარგი ხასიათის

1. ***ლოყა დიდი, მრგვალი.*** ჭკვიანი და დამყოლი (სურ. 1(1-6)).

2. ***დიდი მრგვალი თვალები.*** ჩვეულებრივად აქვთ დამყოლ ცხენებს, რომლებიც ადამიანს ენდობიან

3. ***ულვაშები ტუჩზე.*** ძალზე იშვიათად გვხვდება. უმრავლესობა მეგობრული და მზრუნველი ცხოველები არიან

4. ***მოძრავი ზედა ტუჩები.*** ცნობისმოყვარე, ადამიანთან ფიზიკური კონტაქტის მოთხოვნილებით. მაგალითად, მასთან ტუჩების შეხებით ან მოჭიდებით

5. ***მრგვალი და რბილი ნიკაპი.*** მიუთითებს უბრალო, გულდია ხასიათზე

6. ***სწორი პროფილი.*** ურთიერთობაში მარტივი, რომელიც ადვილად ითვისებს.

II. სანდონი (სურ. 1(7-9))

7. ***თითქმის ჰორიზონტალურ ხაზამდე გადაშლილი ყურები.*** ეს განსაკუთრებული სანდოობის ნიშანია

8. ***განივი ფორმის, კარგი ფორმის ყურები.*** მიუთითებს სიწყნარეზე და სანდოობაზე

9. ***ნიკაპი მოკლე და მომრგვალებული.*** განიერი პირიდან მწვერვალამდე. სანდო ცხენის ნიშანია

III. მფრთხალები (სურ. 1(10-12))

10. ***ზევით გაფართოებული, დიდი გახსნილი ნესტოები.*** მიუთითებს მაღალ ინტელექტზე და იმაზე, რომ ცხენი ბევრს ფიქრობს. თუ ასეთი ნესტოების ზემოთ სირბილეა, ეს ხშირად იმის ნიშანია, რომ ცხენი ბევრს ფრუტუნებს და შინდება. ასეთი ცხენების ხასიათის შეცვლა ძნელია

11. ***ქარიყლაპიას პროფილი.*** ტენდენცია მგრძნობიარობისა და სიმფრთხალისკენ

12. ***დახვეწილი ცხვირი, ნაზი ნაკვთები.*** ჩვეულებრივად ახასიათებთ ძალზე მგრძნობიარე ცხენებს

IV. ნერვიულები (სურ. 1(13-14))

13. ***ძალზე წვეტიანი და მკვრივი ნიკაპი.*** ზედმეტად მაგარი ნიკაპი ნერვულ ცხენზე მიგვანიშნებს, რომელსაც შეუძლია არაადეკვატური რეაგირება და რომელიც ძნელი შესაცვლელია. იგი შეიძლება იყოს ჯიუტი და მხედართან ბრძოლაში ჩაბმის მიდრეკილება ჰქონდეს. ზოგიერთ ცხენს აფორიაქების შემთხვევაში შეიძლება ნიკაპი გაუმკვრივდეს, რის შემდეგ აღარ შეუძლია სწავლების აღქმა მანამდე, სანამ ნიკაპი ისევ არ დარბილდება

1

2

3

4

5

6

7

8

9

10

11

12

სურ. 1(1-12). აღნიშვნები იხ. ტექსტში

ეროვნული ბიბლიოთეკა

13

14

15

16

17

18

19

20

21

სურ. 1(13-21). აღნიშვნები იხ. ტექსტში

22

23



24

25

26

27

28

სურ. 1(22-28). აღნიშვნები იხ. ტექსტში

14. ***დაძაბული მრგვალი თვალები, თვალს ზევით ნაოჭების გარეშე.*** მიუთითებს დაძაბულობის და მოუსვენრობის მაღალ ხარისხზე.

V. მოუქნელნი (სურ. 1(15-17))

15. ***განიერი ან გამობურცული ცხვირის ფუძის ძვალი.*** შეიძლება არასაკმარის მოქნილობაზე მიუთითებდეს

16. ***პატარა თვალები.*** ასეთი ცხენები ჩვეულებრივად მოუქნელები არიან და ითვისებენ ნელა. მოთხოვნის გაძლიერებაზე ჯიუტდებიან და ცუდად იქცევიან

17. ***თავი განიერი ცხვირის ფუძის შუა ნაწილიდან ქვედა ყბისკენ, ცუდად გამოხატული ლოყით.*** ცხენი ნელა ითვისებს, მოუქნელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

29

30

31

32

33

სურ. 1(29-33). აღნიშვნები იხ. ტექსტში

VI. რთული ხასიათის (სურ. 1(18-21))

18. ***ქვედა ტუჩისა და ნიკაპის რთული ფორმა.*** ტუჩი ნიკაპიდან მკვეთრადაა გამოყოფილი და კარგადაა გამოხატული, რაც რთულ ხასიათზე მიუთითებს

19. ***რთული ნიკაპი.*** ნიკაპი ქვედა ტუჩიდან მკვეთრი გადასვლით ან მცირე ზომის ნაოჭებით. ხშირად რთულ ხასიათზე მიუთითებს

20. ***გრძელი.*** ბრტყელი და ვიწრო ნიკაპი. ჩვეულებრივ გრძელი პირით. მიუთითებს განვითარებულ ინტელექტზე. ხშირად ასეთ ცხენებს რთულებს ეძახიან

21. ***ქარიყლაპიას პროფილი.*** ლოსის დრუნჩთან შესაბამისობაში, გამოშვერილი შუბლით. მიუთითებს რთულ, ხშირად ცვალებად ხასიათზე. სწავლებისას ასეთ ცხენებთან საჭიროა მოთმინება და გაგება.

VII. ნელა შემთვისებლები (სურ. 1(22-25))

22. ***ვიწრო შუბლით.*** ცხენი ნელა ითვისებს. მაგრამ, როცა ასეთი ცხოველი სწავლობს გაკვეთილს, მას კარგად იმახსოვრებს და შემდგომში შესანიშნავად მუშაობს

23. ***მოკლე პირი.*** შეიძლება მიანიშნებდეს მოუქნელობაზე და იმაზე, რომ ცხენი ნელა ითვისებს. ასეთ ცხენს ძნელია მოარგო რკინის ლაგამი და ხშირად ისინი უკეთესად მუშაობენ მის გარეშე, "ხაკამორით"

24. ***კოპი ან შვერილი თვალებს შორის.*** ასეთი ცხენები, ჩვეულებრივ, მოულოდნელობებით არიან აღსავსენი, ხშირად ნელა ითვისებენ. მათთან საჭიროა მოთმინება და გაკვეთილის ბევრჯერ გამეორება

ეროვნული ბიბლიოთეკა

25. ***გრძელი დრუნჩი.*** თუ ყვრიმალის ძვლის კიდიდან მანძილი ზედა ტუჩამდე ჩვეულებრივზე გრძელია თავის ზომასთან შეფარდებით, ლოყა პატარა, ხოლო თავი ზემოთ საკმაოდ ვიწრო, ასეთი ცხენი ნელა აზროვნებს. თუ ლოყა დიდია, თავი – განიერი შუბლში, ქვევით კი ვიწრო, მაშინ ამ ცხენის ინტელექტი ჩვეულებრივზე უფრო მაღალია.

VIII. საშუალო ინტელექტით (სურ. 1(26-28))

26. ***საშუალო სიდიდის თვალი.*** ინტელექტის საშუალო დონე

27. ***სამკუთხა თვალები.*** ინტელექტის საშუალო დონე. ხასიათი დამოკიდებული იქნება სხვა მაჩვენებლებზე

28. ***საშუალო ზომის ლოყა.*** შესწავლის საშუალო უნარი (მაგრამ გონიერი მიდგომით იგი ძალიან მაღალ დონეზე შეიძლება გავიდეს).

IX. მაღალი ინტელექტით (სურ. 1(29-33))

29. ***ჭიქისმაგვარი ცხვირი.*** ეს განსაზღვრება მიეცა არაბულ ცხენებს, რომლებსაც იმდენად ნატიფი დრუნჩი ჰქონდათ, რომ შეეძლოთ ჩაის ჭიქაში ჩაძრომა. გამოირჩევიან მაღალი ინტელექტით და დიდი მგრძნობელობით

30. ***დიდი, მოძრავი, ზედა ნაწილში ვიწრო ნესტოები.*** განვითარებული ინტელექტის, ინტერესის და აქტიურობის გამოვლენისთვის მზადყოფნის ნიშანია

31. ***ორმაგი ნიკაპი.*** ასეთი ნიკაპის მქონე ცხენები ძალზე ჭკვიანები არიან

32. ***შუბლში განიერი თავით.*** გონიერი ცხენია, სწრაფად ითვისებს. მაგრამ შეუძლია ჭკუა გამოუცდელი მხედრის დასაჩაგრავად გამოიყენოს

33. ***ქარიყლაპიას პროფილი, ლოსისმაგვარი გრძელი დრუნჩით.*** ჩვეულებრივ მიუთითებს განვითარებულ ტვინსა და თავდაჯერებაზე.

პრინციპში რაიტთერაპიის პროცედურებისთვის პირველ რიგში შერჩეული უნდა იყვნენ მეგობრული, წყნარი, გულღია ცხენები, რომლებიც ენდობიან ადამიანებს. თუმცა, შემდგომში (რეაბილიტაციის მე-2 ეტაპის შემდეგ) პაციენტს, რომელიც გარკვეულწილად დახელოვნდა კიდეც სპორტის ამ სახეობაში და არ შეუძლია დაკარგოს ურთიერთობა ცხენთან, საკუთარი ხასიათიდან, მისწრაფებებიდან გამომდინარე, შეუძლია აირჩიოს ისეთი თვისებების ცხენები, როგორიცაა განსაკუთრებით ჭკვიანები და, ამავე დროს, თვითდაჯერებულები, ინტერესიანი და აქტიურები, ცვალებადი ხასიათის (რომელთანაც საჭიროა მოთმინება და გაგება) და რთული ხასიათის.

ლიტერატურა

1. *Телингтон-Джонс Л., Тейлор С.* Как правильно выбрать и воспитать лошадь. М., Аквариум, 2004.
2. *Эзе Э.* Конный спорт. М., ФиС, 1982.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ОТБОР ЛОШАДИ ДЛЯ ПРОЦЕДУР РАЙДТЕРАПИИ

Дж. Залдастанишвили

Тбилисская медицинская Академия им. П. Шотадзе

РЕЗЮМЕ

Индивидуальный отбор лошади, будет он связан со спортом или же с использованием лошади в других целях, имеет важное значение, так как нагрузка, которую всадник получает на разных лошадях, разная и зависит она от темперамента, характера, породы, импульсивности и сложности управления лошадью.

Искусство определения характера лошади является древней традицией многих народов, в том числе и в культуре великих конников-бедуйнов, согласно которой положение и число завитков на голове лошади является показателем характера и темперамента животного.

Согласно известной американской исследовательнице Л. Телингтон-Джонс, на особенности поведения лошадей указывают размер и форма головы, ее профиль и посадка, завитки волос на голове и пропорции тела, проанализированные вместе. На основании этого, она установила более двух десятков характера лошадей.

В связи с тем, что использование метода Л. Джонс значимо и для райдтерапии, мы поставили целью оказать содействие желающим выбрать лошадь для процедур райдтерапии адекватно их "персоне", уровню подготовки и патогенезу заболевания.

HORSE SELECTION FOR RIDETHERAPY PROCEDURES

J. Zaldastanishvili

P. Shotadze Tbilisi Medical Academy

SUMMARY

Individual selection of horses – will be it associated with the sport or the use of horses for other purposes, is important, as the loading that the rider gets on different horses is different and depends on the temperament, nature, breeding, impulsivity, and the complexity of managing the horse.

The art of determining the nature of the horse is an ancient tradition of many peoples, including the culture of the great horsemen- bedouins, according to which the position and number of hair curls on the horse's head is an indication of the character and temperament of the animal.

According to famous american scientist L. Telington-Jones, the size and shape of the head, its profile and fit, hair curls on the head and body proportions analyzed together show the peculiarities of horse behavior. On this basis, she established more than two dozen of horses nature.

Due to the fact that the use of this method is also significant for ridetherapy, we set a goal to assist those wishing to select a horse for ridetherapy procedures adequately to their "personality", the level of training and pathogenesis of the disease.

საქ. მეცნ. ეროვნ. აკად. მაცნე, ბიომედ. სერია, 2012, ტ.38, № 5-6 ISSN-0321-1665
Известия нац. АН Грузии, биомед. серия, 2012, т. 38, № 5-6
Proc. Georgian Nat. Acad. Sci., Biomed. Series, 2012, vol. 38, No 5-6

THE STUDY OF ANION-ACTIVATED ATPases RELATION

M. Leladze, S. Dzneladze, L. Tsakadze, T. Jariashvili

Iv. Beritashvili Centre for Experimental Biomedicine, Tbilisi, Georgia

The anion-activated ATPases (Cl^-, SO_4^{2-}, NO_3^-, HCO_3^-) relation with their synchronous action has been studied. Our experiments showed that this relation of anion-activated ATPases has a fairly complex graphic expressions and it is an indication that they are characterized by mutually antithetic effects.

Key words: plasma membrane, ATPase transport, anion dependent ATPase

Anion-dependent Mg^{2+}-activated ATP hydrolysis, namely HCO_3^- and activation by Cl^- ions, less SO_4^- and NO_3^-, is known from the literature [4]. HCO_3-ATPases and Cl-ATPases are found in plasma membrane of animals and plants. The participation of this enzyme appears to be the process of bicarbonate and chloride ions active transport [2, 3].

Mg-ATP complex is the substrate for anion ATPases, the main feature of which is considered to be the existence of phosphorylated intermediator, but molecular mechanism of brain membranes in this system has been less observed.

In the previous work [1] the Cl^--anion dependent Mg-ATPase molecular mechanism and its plasma in the ,,P-type ATPase" classification have been reported.

We found that Cl^-ATPase belongs to the transport-ATPases group such as Na,K-ATPase, H-ATPases, K,H-ATPase and bivalent cation-activated ATPases, but the difference is that Cl ions active transport is realized with several mechanisms, one of which is the antiport with other anions.

The aim of this investigation was to study Cl^- anion and other anions correlation with their synchronous action to manifest ATPases reaction.

MATERIAL AND METHODS

The sections of different membranes of albino rats brain of both sexes, weighing 200-300 g served as an experimental material. The fraction was obtained via osmotic shock to the synaptosomes between the layers of 0.9-1.2 M sucrose [5], as well as the fractions of microsomes (0.32 M sucrose). The preparations were washed in 2.5 mM EGTA and 2.5 mM EDTA solutions.

ATPase activity was determined by a volume of liberated inorganic phosphate [4], protein was determined according to Lowry method [6]. ATPase activity was represented

as μM mol P_i/hour, mg protein units. Reagent medium always contained 30 mM triss-mallat (pH 7.65), 0.4 mM EGTA and 0.2 mM Ouabain. The concentrations of other ligands (mM) in incubation solution are given in the text. Experimental data were processed statistically.

RESULTS AND DISCUSSION

Anions correlation is the means to show the contradictory influence of two anion ATPases (it is possible that the activation phase of one anion coincides with the inhibition phase of the other anion or on the contrary).

The curves reflecting the activities obtained by comparison of Cl^- and other anions, when the substrate concentration was constant, are shown on Figs 1 and 2.

The overall concentration of anions for each particular case was 20mM. On Fig. 2 0/200 mM (curve 1) reflects NO_3-ATPase activity, 0/200 mM (curve 2) – $S0_4$-ATPase. On Fig. 1 curve 1 expresses Mg^{2+} dependent HCO_3-ATPase activity, while curve 2 – Cl-ATPase. Marginal concentrations show the activation of ATPase reaction induced by definite anions. The curves are characterized by complex shape. In each case there are one or more convexity or concavity inflexion and turning points (more than one) are in evidence.



Fig. 1. The activity induced by Cl^- and HCO_3^- different concentrations ratio. 1 – synaptic fraction; 2 – microsomal fraction



Fig. 2. MgATP hydrolysis induced by Cl^- and other anion ratio (microsomal fraction). 1 – NO_3^-; 2 – SO_4^{2-}.

The study of the interrelation of membrane Cl-ATPase with other ATPases will assist to some extent in deciphering the mechanism and function of its activity. To this end, we

have revealed anions' interaction in the membrane in ATP hydrolysis. In the living cell the excessive amount of anions was found on the external surface of the membrane, compared to the internal one. This fact determines their movement within concentration gradient from outwards into inwards. There is an indication in the literature that there may also be co-transport of Cl^- and other anions at the expense of ATP hydrolyzing energy (co-transport of Cl^-/HCO_3^- in particular) [7]. Cl^- is directed from inwards of the cell, in contrast to HCO_3^-. The given process may be due to the existence of Mg independent HCO_3-ATPase in the plasma membrane [8] whose substrate (as distinct from Mg-dependent HCO_3-ATPase) is only free ATP. This ATPase is likely to be attributed to the so-called Ecto-ATPases group, which functions on the external side of the membrane and does not require Mg-ions.

The simultaneous study of Cl^- and HCO_3^--induced ATPase reaction with the anions' ratio in incubation medium (in the presence of Mg^{2+}) (overall concentration being stable) has revealed a complex interdependence (Fig. 1). The activation phase induced by one anion coincides with the inhibition phase elicited by another anion and vice versa. As it seems Cl^-ATPase and HCO_3-ATPase counteract.

Likewise the complex dependence was observed in the schematic reflection of Cl^-/NO_3^- and Cl^-/ SO_4^{2-} ratio (Fig. 2). $V = f(Cl^-/N^-)$ is complex, curves are characterized by several inflexion and turning points. It should be assumed that the enzyme molecule within a cell exhibits a varying affinity for each anion under conditions of their concomitant presence.

Our experiments showed that this relation of anion-activated ATPases has a fairly complex graphic expressions and it is an indication that they are characterized by mutually antithetical effects.

REFERENCES

1. *Dzneladze S., Tsakadze L., Leladze M., Kometiani Z.* J. Membrane Biol., 2012, 245, 151-156.
2. *Gerencser G.A.* Comp. Biochem. Physiol., 2003, A, S1-S237.
3. *Isutsu K.T., Segel I.A.* Biochemistry, 1980, 45, 424-429.
4. *Ivaschenko A.T.* Biol. Science, 1977, 1, 25-33.
5. *Kazennov A., Maslova M.* Zhurn. Evol. Biokhim. Fiziol., 1980, 16(5), 81-87.
6. *Kometiani Z.* Bull. Georgian Acad. Sci., 1982, 105, 401-404.
7. *Lowry O.H., Rosebrough N.L., Fazz A.U., Randall R.Y.* J. Biol. Chem., 1951, 193, 265-276.
8. *Tsakadze L., Dzneladze S., Kometiani Z.* J. Acad. Sci. Biol. Ser. B. 2007, 5(2), 9-13.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანიონით აქტივირებული ATPაზების შეფარდების შესწავლა

მ. ლელაძე, ს. ძნელაძე, ლ. წაქაძე, თ. ჯარიაშვილი

ივ. ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი, თბილისი

რეზიუმე

შესწავლილია ანიონებით (Cl^-, SO_4^{2-}, NO_3^-, HCO_3^-) აქტივირებული ATPაზების თანაფარდობა მათი ერთდროული მოქმედებისას. აღმოჩნდა, რომ მათ საკმაოდ რთული გრაფიკული გამოსახულება აქვთ, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ანიონური ATPაზები ხასიათდება ურთიერთსაწინააღმდეგო ეფექტით.

ИЗУЧЕНИЕ СООТНОШЕНИЯ АНИОНАМИ АКТИВИРОВАННЫХ АТРаз

М. Леладзе, С. Дзнеладзе, Л. Цакадзе, Т. Джариашвили

Центр экспериментальной биомедицины им. Ив. Бериташвили, Тбилиси

РЕЗЮМЕ

В данной статье было изучено соотношение анионами активированных АТРаз (Cl^-, SO_4^{2-}, NO_3^-, HCO_3^-) во время их синхронного действия. Оказалось, что они имеют достаточно сложное графическое изображение. Это объясняется тем, что анионные АТРазы характеризуются противоположным эффектом.

საქ. მეცნ. ეროვნ. აკად. მაცნე, ბიომედ. სერია, 2012, ტ. 38, № 5-6 ISSN-0321-1665
Известия нац. АН Грузии, биомед. серия, 2012, т. 38, № 5-6
Proc. Georgian Nat. Acad. Sci., Biomed. Series, 2012, vol. 38, No 5-6

ზოგიერთი მოდიფიკატორის გავლენა Mg^{2+}-დამოკიდებულ Ca-ATPაზურ სისტემაზე

ე. ნოზაძე, ნ. არუთინოვა, გ. ჭკადუა, თ. ჯარიაშვილი

ივ. ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი

თეთრი ვირთაგვას თავის ტვინის სინაფსური მემბრანების ფრაქციაში ლოკალიზებული Mg^{2+}-დამოკიდებული Ca-ATPაზა მრავალუბნიანი ფერმენტული სისტემაა, რომლის ფუნქციურ ერთეულს წარმოადგენს მინიმუმ დიმერი. მისი სუბსტრატია MgATP კომპლექსი, ხოლო Mg^{2+} და ATP წარმოადგენენ შერეული მოქმედების მოდიფიკატორებს. ამასთან, ფერმენტთან MgATP-ისა და Mg^{2+}-ის, ასევე MgATP-ისა და ATP-ის დაკავშირება-გამოთავისუფლება ხდება რანდომული მექანიზმით.

საკვანძო სიტყვები: Ca,Mg-ATPაზა, MgATP კომპლექსი, სუბსტრატი, მოდიფიკატორი

Ca^{2+} მნიშვნელოვან როლს თამაშობს ცოცხალ ორგანიზმთა ფუნქციობაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ Ca^{2+}, როგორც ზოგიერთი ფერმენტის მოდიფიკატორი და ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი, მონაწილეობს გარედან მიღებული ინფორმაციის უჯრედშიდა პროცესებზე გადაცემაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია Ca^{2+}-ის, როგორც ტრანსმემბრანული პოტენციალის რეგულატორის როლი და მისი წვლილი სინაფსურ გადაცემაში. Ca^{2+} აუცილებელი იონია, რომლის გარეშეც შეუძლებელია უჯრედისა და ორგანიზმის ფუნქციობა. ამასთან, სასიცოცხლოდ აუცილებელია უჯრედში კალციუმის ჰომეოსტაზის შენარჩუნება, რაც ხორციელდება ტრანსპორტული სისტემების, მათ შორის Ca-ATPაზას, საშუალებით.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა თეთრი ვირთაგვას თავის ტვინის სინაფსური მემბრანების ფრაქციაში ლოკალიზებული Mg^{2+}-დამოკიდებული Ca-ATPაზური სისტემის (Ca,Mg-ATPაზა) მოქმედების მოლეკულური შესწავლა.

კვლევის ობიექტი და მეთოდები

კვლევის ობიექტს წარმოადგენდა თეთრი ვირთაგვას თავის ტვინიდან დიფერენცირებული ცენტრიფუგირებით საქაროზას სიმკვრივის გრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიენტში მიღებული სინაფსური მემბრანების ფრაქცია [1, 3, 8]. ცილის კონცენტრაცია ისაზღვრებოდა ლოურის მეთოდით [7], ხოლო არაორგანული ფოსფორი – ჩვენს ლაბორატორიაში მოდიფიცირებული ფისკე-სუბაროუსა და კანანოვ-მასლოვას მეთოდით [1, 2, 4].

ATPაზურ აქტიურობაზე ვმსჯელობდით ფერმენტის მიერ ATP-ის დაშლით გამოყოფილი არაორგანული ფოსფორის რაოდენობით მილიგრამ ცილაზე საათში.

თავისუფალი ATP-ის, Mg^{2+}-ის, Ca^{2+}-ის, MgATP კომპლექსისა და CaATP კომპლექსის კონცენტრაციების განსაზღვრა ხორციელდებოდა MgATP კომპლექსისა და CaATP კომპლექსის დისოციაციის კონსტანტების მნიშვნელობების გათვალისწინებით. MgATP კომპლექსისთვის Kd = 0.0603 mM, ხოლო CaATP კომპლექსისთვის – Kd = 0.107 mM [5].

Ca-ATPაზას შესწავლისას გამოყენებულ იქნა მრავალუბნიანი ფერმენტული სისტემების კინეტიკური ანალიზის მეთოდები [6], რაც წარმოადგენს მრავალუბნიანი ფერმენტული სისტემების კინეტიკური კვლევის ერთადერთ მეთოდს.

შედეგები და მათი განხილვა

უპირველეს ყოვლისა, შესწავლილ იქნა თეთრი ვირთაგვას თავის ტვინის სინაფსური მემბრანების ფრაქციაში ლოკალიზებული Ca,Mg-ATPაზური აქტიურობის დამოკიდებულება MgATP კომპლექსის კონცენტრაციიდან (ორმაგშებრუნებულ კოორდინატებში) CaATP-ის მუდმივი კონცენტრაციისას: [CaATP] = 1mM (სურ.1). MgATP-ის კონცენტრაცია იცვლებოდა 0.1-1.4mM-ის ფარგლებში. ამასთან, აღებული იყო ATP-ისა და Mg^{2+}-ის თანაბარი კონცენტრაციები.



სურ. 1. ორმაგშებრუნებულ კოორდინატებში Ca,Mg-ATPაზური აქტიურობის დამოკიდებულება MgATP-ის კონცენტრაციაზე CaATP-ის მუდმივი კონცენტრაციისას: [CaATP] = const = 1 mM; [ATPf] = [Mg^{2+}]

$1/V = f\left(1/MgATP\right)$ დამოკიდებულებას (სურ. 1) რთული გეომეტრიული ფორმა აქვს: არგუმენტის მაღალი მნიშვნელობებისას შეინიშნება ფერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მენტული სისტემის აქტივაცია, ხოლო არგუმენტის დაბალი მნიშვნელობებისას – ინჰიბიცია. ამასთან, არგუმენტის მაღალი მნიშვნელობებისას $1/V = f\left(1/MgATP\right)$ ფუნქციას გააჩნია ასიმპტოტა და არგუმენტის საშუალო მნიშვნელობებისას შეინიშნება 1 მოტრიალებისა და 1 გადაღუნვის წერტილი. MgATP-ის მცირე კონცენტრაციებისას Ca,Mg-ATPაზური სისტემის აქტივაცია და არგუმენტის მაღალი მნიშვნელობებისას $1/V = f\left(1/MgATP\right)$ ფუნქციის (სურ. 1) სწორხაზოვნება აუცილებელი და საკმარისი პირობაა, რომ MgATP-ის, როგორც აუცილებელი აქტივატორებისთვის განკუთვნილი უბნების რიცხვი – n = 1 [6]. ამრიგად, MgATP Ca,Mg-ATPაზური სისტემის აუცილებელი აქტივატორია და წარმოადგენს Ca-ATPაზური სისტემის სუბსტრატს. უნდა აღინიშნოს, რომ MgATP-ის მაღალი კონცენტრაციებისას ფერმენტული სისტემა განიცდის ინჰიბიციას და MgATP-ის, როგორც სრული ინჰიბიტორებისთვის განკუთვნილი უბნების რიცხვი – m = 1 [6]. მრავალუბნიანი ფერმენტული სისტემის კინეტიკური ანალიზის მეთოდის თანახმად, თუ ექსპერიმენტულ მრუდზე აქტივაციური და ინჰიბიციური ნაწილის არსებობისას არის გადაღუნვისა და მოტრიალების წერტილები (სურ. 1), მაშინ ფერმენტულ სისტემას უნდა ჰქონდეს ნაწილობრივი ეფექტის მქონე მოდიფიკატორებისთვის განკუთვნილი უბანი [6].



A B

სურ. 5. ორმაგშებრუნებულ კოორდინატებში Ca-ATPაზური აქტიურობის დამოკიდებულება MgATP-ის კონცენტრაციაზე, Mg^{2+}-ისა (A) და ATP_f-ის სხვადასხვა ფიქსირებული კონცენტრაციების დროს: 0.1mM≤[MgATP]≤0.5mM; $[Ca^{2+}]$ = const = 3mM. A – 1. $[Mg^{2+}]$ = const = 0.2 mM B – 1. [ATPf] = const = 0.1 mM 2. $[Mg^{2+}]$ = const = 0.4 mM 2. [ATPf] = const = 0.4 mM 3. $[Mg^{2+}]^+$ = const = 0.8 mM 3. $[ATP_f]^+$ = const = 0.6 mM

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამრიგად, ფერმენტულ სისტემას MgATP-თვის გააჩნია აუცილებელი აქტივატორული, სრული ინჰიბიტორული და ნაწილობრივი ეფექტის მქონე მოდიფიკატორული უბანი, რაც მიუთითებს, რომ Ca,Mg-ATPაზა მრავალუბნიანი ფერმენტული სისტემაა, რომლის ფუნქციურ ერთეულს, „მინიმალური მოდელის პრინციპიდან" გამომდინარე, წარმოადგენს მინიმუმ დიმერი ორი იდენტური სუბერთეულით.

Ca-ATPაზას მოქმედების მოლეკულეური მექანიზმის შესწავლისთვის აუცილებელია დადგინდეს ფერმენტული სისტემის მოდიფიკატორების ტიპი და მათი ურთიერთქმედება. ამ მიზნით, გამოკვლეულ იქნა MgATP-ის დაბალ კონცენტრაციებზე Ca,Mg-ATPაზური აქტიურობის დამოკიდებულება Mg^{2+}-ისა (სურ. 2A) და თავისუფალი ATP-ის (სურ. 2B) სხვადასხვა ფიქსირებული კონცენტრაციების დროს. MgATP-ის კონცენტრაციები ისე იყო შერჩეული (0.1-0.5 mM), რომ ადგილი ჰქონდა სწორხაზოვან დამოკიდებულებას.

Mg^{2+}-ის ფიქსირებული კონცენტრაციის ზრდასთან ერთად იზრდება წრფეების დახრა და ორდინატთა ღერძთან გადაკვეთის წერტილის კოორდინატები და წრფეების ურთიერთგადაკვეთა ხდება აბსცისთა ღერძზე (სურ. 2A). ATP-ის ფიქსირებული კონცენტრაციის გაზრდისას კი მცირდება წრფეების დახრა და ორდინატთა ღერძთან გადაკვეთის წერტილის კოორდინატები და წრფეების ურთიერთგადაკვეთა ხდება აბსცისთა ღერძზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ფერმენტთან MgATP-ისა და Mg^{2+}-ის, ასევე MgATP-ისა და ATP-ის დაკავშირება-გამოთავისუფლება ხდება რანდომული მექანიზმით. Mg^{2+}-ის ფიქსირებული კონცენტრაციის ზრდასთან ერთად, $1/V = f\left(1/_{MgATP}\right)$ წრფეების დახრისა და ორდინატთა ღერძთან გადაკვეთის წერტილის გაზრდა და აღნიშნული წრფეების აბსცისთა ღერძზე ურთიერთგადაკვეთა (სურ. 2A) მიუთითებს, რომ MgATP-თვის Mg^{2+} წარმოადგენს ინჰიბიტორს უცვლელი თვისობით და ფერმენტის Mg^{2+}-დაკავშირებულ ფორმებს არ გააჩნიათ კატალიზის უნარი.

ამრიგად, თეორი ვირთაგვას თავის ტვინის სინაფსური მემბრანების ფრაქციაში ლოკალიზებული Ca,Mg-ATPაზა არის მრავალუბნიანი ფერმენტული სისტემა, რომლის ფუნქციურ ერთეულს წარმოადგენს მინიმუმ დიმერი. მისი სუბსტრატია MgATP კომპლექსი, ხოლო Mg^{2+} და ATP წარმოადგენენ შერეული მოქმედების მოდიფიკატორებს. ამასთან, ფერმენტთან MgATP-ისა და Mg^{2+}-ის, ასევე MgATP-ისა და ATP-ის დაკავშირება-გამოთავისუფლება ხდება რანდომული მექანიზმით.

ლიტერატურა

1. სუბუჯრედული ფრაქციების მიღებისა და შესწავლის მეთოდიკა (შემდგენელები: ნ. არუთინოვა, მ. ლელაძე). გამომც. ბიომედი, თბილისი, 2010.
2. *Казанова А., Маслова М.Ж.* Эвол. Биохим. Физиол., 1980, 16, 5, 81-87.
3. *De-Robertis E.* Structural components of the synaptic region. In: Handbook of Neurochemistry. Plenum Press, New York, 1969, 2, 365-380.
4. *Fiske G., Subbarow Y.* J. Biol. Chem., 1925, 66, 375-400.

5. *Iacimirsky K., Gvasdovskaia V.* Dissociation constants of metal and bioligand Complex. Publ. House "Naukova Dumka," Kiev, 1972.
6. *Kometiani Z.* Kinetic analysis of the multi-sited enzyme systems. Publ. House "Sakartvelos Matsne," Tbilisi, 2007.
7. *Lowry O.H., Rosenbrogh N.J.* J. Biol. Chem., 1951, 193, 265-275.
8. *Whittaker W.P.* The synaptosomes. In: Handbook of Neurochemistry (ed. by A. Lagtha), Plenum, Press, New York, 1969, 2, pp 327-364.

ВЛИЯНИЕ НЕКОТОРЫХ МОДИФИКАТОРОВ НА MG^{2+}-ЗАВИСИМУЮ Ca-АТРазу

Е. Нозадзе, Н. Арутюнова, Г. Чкадуа, Т. Джариашвили

Институт экспериментальной биомедицины им. И. Бериташвили

РЕЗЮМЕ

Mg^{2+}-зависимая Ca-АТР-аза синаптических мембран является многоучастковой ферментной системой, ее функциональной единицей является минимум димер. Субстратом является комплекс MgATP, а Mg^{2+} и АТР представляют собой модификаторы смешанного действия. Следует отметить, что присоединение и высвобождение MgATP и Mg^{2+}, а также MgATP и АТР к ферменту происходит рандомно.

THE EFFECT OF SOME MODIFICATORS ON THE Mg^{2+}-DEPENDENT Ca-ATPase

E. Nozadze, N. Arutinova, G. Chkadua, T. Jariashvili

Iv. Beritashvili Center for Experimental Biomedicine

SUMMARY

Mg^{2+}-dependent Ca-ATPase, localized in rat's brain synaptic membrane, is a multi-sited enzyme system, whose functional unit is minimum a dimmer. Its substrate is MgATP, while Mg^{2+} and free ATP appear to be the mixed-effect modifiers for the enzyme. Moreover, binding-releasing of MgATP and Mg^{2+} as well as MgATP and ATP occurs through the random mechanism.

საქ. მეცნ. ეროვნ. აკად. მაცნე, ბიომედ. სერია, 2012, ტ.38, № 5-6 ISSN-0321-1665
Известия нац. АН Грузии, биомед. серия, 2012, т. 38, № 5-6
Proc. Georgian Nat. Acad. Sci., Biomed. Series, 2012, vol. 38, No 5-6

ლოკალური ანესთეტიკების გავლენა აზოტის ოქსიდით განპირობებულ ენის არტერიის რელაქსაციაზე

მ. ბლიასუნოვა[1], ზ. გერსამია[3], ი. კვაჭაძე[2], გ. მესხიშვილი[1], მ. ქავთარაძე[3], მ. ფრუიძე[2], გ. ბექაია[1]

[1] პ. შოთაძის სახ. თბილისის სამედიცინო აკადემია; [2] თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი; [3] ესთეტიკური სტომატოლოგიის ცენტრი "ელიტი", თბილისი

ცნობილია, რომ ლოკალური ანესთეტიკების გამოყენებისას შესაძლებელია განვითარდეს იშემიური პროცესები. ჩვენ მიზანშეწონილად ჩავთვალეთ სისხლძარღვთა იზოლირებული პრეპარატების კუმშვადობის პარამეტრების გაზომვით შეგვესწავლა ლოკალური ანესთეტიკების (ლიდოკაინის და მეპივაკაინის) გავლენის შესაძლო მექანიზმი პირის ღრუს ძირითადი სისხლძარღვის – ენის არტერიის ტონუსზე.

ცდები ჩატარდა შინშილას ჯიშის ბოცვერების ენის არტერიის იზოლირებულ პრეპარატებზე.

მიღებული მონაცემები მოწმობს, რომ ამიდური ტიპის ლოკალური ანესთეტიკები (ლიდოკაინი და მეპივაკაინი) ასუსტებს ენის არტერიის ბრადიკინინით გამოწვეულ რელაქსაციის რეაქციას, ხოლო ამ სისხლძარღვის კონტრაქტილურ რეაქციას სეროტონინზე არც ლიდოკაინი და არც მეპივაკაინი პრაქტიკულად არ ცვლის. ამასთან ერთად დადგინდა, რომ L-არგინინის დამატება აუმჯობესებს ბრადიკინინით გამოწვეულ სისხლძარღვის რელაქსაციას, რომელიც ლიდოკაინის მოქმედების შედეგად საგრძნობლად იყო დათრგუნული. ლოგიკურია გავაკეთოთ დასკვნა, რომ ლიდოკაინი გარკვეულ გავლენას ახდენს L-არგინინ-აზოტის ოქსიდის სისტემაზე ენის არტერიის ენდოთელიუმში.

საკვანძო სიტყვები: ლოკალური ანესთეტიკები, აზოტის ოქსიდი, იზოლირებული არტერიის პრეპარატი, L-არგინინი

როგორც კლინიკური, ისე ექსპერიმენტული კვლევები აჩვენებს, რომ ლოკალური ანესთეტიკების გამოყენებისას შესაძლებელია განვითარდეს იშემიური პროცესები, სავარაუდოდ, დაკავშირებული რამდენიმე შესაძლო მექანიზმთან: 1) სისხლძარღვების მექანიკურ კომპრესიასთან, 2) ვაზოდილატატორული ნერვების ბლოკადასთან და 3) აზოტის ოქსიდთან ასო-

ეროვნული

ცირებული სისხლძარღვთა ტონუსის ლოკალური მარეგულირებელი სისტემის ფუნქციობის დარღვევასთან [1, 8, 9].

ჩვენ მიერ თეთრ ვირთაგვებზე ადრე ჩატარებულ ექსპერიმენტულ კვლევაში ნაჩვენებია, რომ ღრძილებში 2%-ანი სუფთა ლიდოკაინის ინექციით გამოწვეული ვაზოდილატატორული ეფექტი განპირობებული უნდა იყოს აზოტის ოქსიდით, ხოლო აზოტის ოქსიდის სინთეზის ბლოკირება აღრმავებს მეპივაკაინის ვაზოკონსტრიქციულ მოქმედებას [2].

გამომდინარე ზემოთქმულიდან, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ უფრო დეტალურად შეგვესწავლა აღნიშნული ლოკალური ანესთეტიკების გავლენის მექანიზმი პირის ღრუს ერთ-ერთი ძირითადი სისხლძარღვის – ენის არტერიის ტონუსზე. აღნიშნული არტერიის (რომელიც მრავალრიცხოვანი განტოტებებით სისხლით ენასა და ღრძილებს კვებავს) ნეიროგენული დილატაციის ბუნების კვლევამ აჩვენა, რომ იგი ატარებს ორკომპონენტიან ხასიათს: პირველი კომპონენტი არის ატროპინმგრძნობიარე, ანუ ქოლინერგული ბუნების, ხოლო მეორე – არაქოლინერგული [4]. ასეთი შერეული დილატატორული მექანიზმი არ არის დამახასიათებელი მხოლოდ ენის არტერიისთვის, იგი აგრეთვე აღწერილი იყო სხვადასხვა სახის ქსოვილებისთვისაც [5]. ენდოთელური აზოტის ოქსიდი ითვლება ნეიროგენული ვაზოდილატაციის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მექანიზმის ძირითად კომპონენტად და, ამდენად, ლოკალური ანესთეტიკების (ლიდოკაინის და მეპივაკაინის) ენის არტერიის ენდოთელიუმზე ან გლუვ კუნთებზე შესაძლო გავლენის მექანიზმების შესწავლა აქტუალურ პრობლემად მიგვაჩნია.

მასალა და მეთოდები

სისხლძარღვთა გლუვი კუნთების ფუნქციის ანალიზის ერთ-ერთ ყველაზე ობიექტურ მეთოდად ითვლება სისხლძარღვთა იზოლირებული პრეპარატების კუმშვადობის პარამეტრების გაზომვა მექანოტრონული გარდამქმნელების მეშვეობით [3]. მეთოდი სისხლძარღვთა ტონუსის მომატების ან დაქვეითების ხარისხის გაზომვის საშუალებას იძლევა მასზე სხვადასხვა სახის ზემოქმედების პირობებში. ამგვარი მეთოდური მიდგომის შედეგად შესაძლებელი ხდება გლუვი კუნთების რეგულაციის ზოგიერთი მექანიზმის ანალიზი მასში ცენტროგენული ნეიროჰუმორული სიგნალების ჩარევის გარეშე. იგი აგრეთვე ამოუწურავ საშუალებას აძლევს ექსპერიმენტატორს შეისწავლოს ბიოლოგიურად აქტიური სხვადასხვა ნივთიერებების თანმიმდევრული ან კომბინირებული ზემოქმედების ეფექტი გლუვი კუნთების რეაქტიულობაზე.

კვლევის ობიექტი

ცდები ჩატარდა 3.5-4 კგ მასის მქონე შინშილას ჯიშის ბოცვერების ენის არტერიის იზოლირებულ პრეპარატებზე. ნატრიუმის ეტამინალით (40 მგ/კგ) ცხოველების ანესთეზიის შემდეგ სწრაფი სისხლგამოშვების გამოყენებით ხდებოდა მათი ევთანაზია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბინოკულური ლუპის ქვეშ გამოვყოფდით ენის არტერიას, რომელიც წარმოადგენს გარეთა საძილე არტერიის ყველაზე დიდ კოლატერალურ ტოტს. არტერიას ვყოფდით რამდენიმე რკალისებრ სეგმენტად (დაახლოებით 1.5 მმ სიგრძით). ყველა სეგმენტი დაუყოვნებლივ თავსდებოდა რინგერ-კრებსის ცივ ხსნარში. საჭიროების შემთხვევაში მასალა შეიძლება შევინახოთ მაცივარში 24 საათის განმავლობაში +5°C ტემპერატურაზე.

სპეციალური დამხმარე ინსტრუმენტის მეშვეობით რინგერ-კრებსის ხსნარგამდინარე პატარა აბაზანაში პრეპარატს ათავსებენ პლატინისგან დამზადებულ ორ პატარა კავზე, რომელთაგან ერთი ხისტადაა მიმაგრებული მექანოტრონის შტოკზე. წონასწორული მდგომარეობის მიღწევისთვის პრეპარატი 90 წუთის განმავლობაში იმყოფება მოსვენებულ მდგომარეობაში და განიცდის მხოლოდ წინასწარ, 15.3 მნ (1.5 გ) ძალის პასიურ დაჭიმვას. დაჭიმვის სიდიდე შეირჩევა არტერიის გლუვი კუნთების კონსტრიქციის ტესტირების შედეგების მიხედვით. ტესტირება ტარდება სტანდარტული ხსნარებით, რომლებიც კალიუმს შეიცავს 80 მმოლ/ლ კონცენტრაციით. რინგერ-კრებსის ხსნარის სრული განახლება ხსნარგამდინარ კამერაში ხდება ყოველი 10-15 წუთის განმავლობაში.

იზოლირებული სისხლძარღვების კონტრაქტილური აქტიურობის რეგისტრაცია შესაძლოა ტენზომეტრულ დანადგარზე იზომეტრულ რეჟიმში 6 MX1C ტიპის მექანოტრონებით.

მექანოტრონებიდან მიღებული ელექტრული სიგნალი გადაეცემა გამაძლიერებლებს. მექანოტრონების კალიბრება ტარდება მილიგრამებში, ამისთვის ჰორიზონტალური შტოკი იტვირთება სტანდარტული, მცირე წონის გირებით და სარეგისტრაციო ქაღალდის დიაგრამაზე რეგისტრატორის კალმით საწყისი დონიდან გადახრა აღირიცხება. ასეთი მეთოდი სავსებით მისაღებია დასმული ამოცანის გადაწყვეტის თვალსაზრისით, ვინაიდან აღნიშნული ტიპის მექანოტრონები (ტენზომეტრული გადამწოდები) ტექნიკაში გამოიყენება წრფივი გადაადგილების და ძალების პრეციზიული აღრიცხვისთვის. თითოეული მექანოტრონის კალიბრება ინდივიდუალურად უნდა ჩატარდეს.

პრეპარატის დაჭიმვა ხორციელდება სპეციალური მოწყობილობით, რომლითაც პრეპარატს შეიძლება მოვდოთ დოზირებული მექანიკური დატვირთვა. დაჭიმვის სიდიდე ჩვეულებრივ ნორმირდება პრეპარატის მაქსიმალური კონტრაქტილური პასუხების მიხედვით ჰიპერკალიური (80 მმოლი/ლ) ხსნარის მოქმედებაზე.

ხსნარების მომზადება, pH-სა და ტემპერატურის კონტროლი

მკვლევავ ხსნარად ვიყენებდით რინგერ-კრებსის გამდინარე ხსნარს, რომლის შემადგენლობა (მმოლ/ლ) იყო შემდეგი: NaCl – 118.0; KCl – 4.7; $NaHCO_3$ – 14.9; KH_2PO_4 – 1.18; $MgSO_4 \cdot 7H_2O$ – 1.17; $CaCl_2 \cdot 2H_2O$ – 2.5; გლუკოზა – 11.0. ცდები ტარდებოდა ხსნარის pH-ს კონტროლის ქვეშ, რომლის გაზომვა მთელი ცდის განმავლობაში ხორციელდებოდა უშუალოდ ყოველი ზემოქმედების წინ. ხსნარის pH-ს ცვლილება დასაშვებია 7.35-7.45 ფარგლებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხსნარის ტემპერატურის მუდმივობა ცდის განმავლობაში ხორციელდება 37 ± 0.5°C დონეზე ულტრათერმოსტატის მეშვეობით, რომელიც შემთბარ წყალს გადატუმბავს წყლის პერანგიან სპეციალურ კოლბებში და თერმოსტატირებულ კამერაში.

გამოყენებული ზემოქმედებები

არტერიის პრეპარატის კონტრაქტილობის ანალიზისთვის საჭირო გამოსაკვლევი ფარმაკოლოგიური ნივთიერებების სასურველი კონცენტრაციის ხსნარები უშუალოდ ყოველი ცდის წინ უნდა მომზადდეს. ნივთიერებები შეჰყავთ აბაზანის სამუშაო კამერაში 15-30 წუთის ინტერვალით. ეს გვაძლევს საშუალებას შევისწავლოთ ამ ნივთიერებების მოქმედება იზოლირებულ სისხლძარღვოვან პრეპარატებზე და განვსაზღვროთ მათი ეფექტი სხვა ნივთიერებებთან შედარებით.

ექსპერიმენტების პროტოკოლი

ცდების ყველა სერიაში სისხლძარღვის პრეპარატის სეროტონინით ($3x10^{-7}$ M) გამოწვეულ მაქსიმალური კონსტრიქციის ფონზე ვადგენდით ბრადიკინინის (10^{-9} – 10^{-6}M) დოზა-ეფექტის მრუდის ხასიათს. პრეპარატის მომდევნო გამორეცხვის შემდეგ, 30 წუთის განმავლობაში მასზე ვმოქმედებდით ერთ-ერთი ლოკალური ანესთეტიკით. ამის შემდეგ სისხლძარღვის რგოლი კვლავ განიცდიდა სეროტონინით გამოწვეულ კონსტრიქციას და კვლავ ვადგენდით ბრადიკინინით მოქმედების დოზა-ეფექტის მრუდს.

სისხლძარღვის რგოლის კონსტრიქციაზე ლოკალური ანსთეტიკების მოქმედების (10^{-5} M, 30 წუთი) შეწავლის მიზნით, მათზე ამ ანესთეტიკებით მოქმედებამდე და მოქმედების შემდეგ ვახდენდით სეროტონინით (10^{-9} – 10^{-5} M) ზემოქმედებას. ექსპერიმენტების ყოველი სერიის დასასრულს ხდებოდა პრეპარატის გამორეცხვა და მასზე 80 მმოლ/ლ KCl^-ით ზემოქმედება.

სტატისტიკური ანალიზი

სისხლძარღვის პრეპარატზე მიღებული რელაქსაციური რეაქციები გამოიხატებოდა სეროტონინით გამოწვეული კონსტრიქციის პროცენტებში, ხოლო კონსტრიქტორული რეაქციები – კალიუმის ქლორიდით (80 მმოლ/ლ) გამოწვეულ მაქსიმალური კონსტრიქციის პროცენტებში. დაჭიმვის აბსოლუტური სიდიდე იზომებოდა მილიგრამებში. მონაცემების დამუშავება ხდებოდა სტიუდენტის კრიტერიუმის გამოყენებით (როგორც დაწყვილებული, ისე ჯგუფური შეფასების ვარიანტში). $p < 0.05$ შემთხვევაში მონაცემთა სხვაობა ითვლებოდა სარწმუნოდ.

შედეგები და განხილვა

მოსვენებულ მდგომარეობაში მყოფი სისხლძარღვის პრეპარატებზე არც ლიდოკაინის და არც მეპივაკაინის მოქმედებამ არ გამოიწვია რაიმე ცვლილება სისხლძარღვის დაჭიმულობის მაჩვენებელში.



სურ. 1. ლიდოკაინის ეფექტი (პროცენტებში) სეროტონინით წინასწარ შეკეთებული ბოცვერის ენის არტერიის ბრადიკინინით გამოწვეულ დოზა-დამოკიდებულ რელაქსაციაზე. პროცენტები გათვლილია სეროტონინის (3×10^{-7} M) ეფექტთან შედარებით. აღნიშვნები: აბსცისაზე ციფრებით 1, 2, 3, 4 აღნიშნულია ბრადიკინინის მოლარული კონცენტრაცია (შესაბამისად, 10^{-9}, 10^{-8}, 10^{-7} და 10^{-6} M)



სურ. 2. მეპივაკაინის ეფექტი (პროცენტებში) სეროტონინით წინასწარ შეკეთებული ბოცვერის ენის არტერიის ბრადიკინინით გამოწვეულ დოზა-დამოკიდებულ რელაქსაციაზე. აღნიშვნები: იგივე, რაც სურ. 1-ზე

სისხლძარღვების პრეპარატებზე სეროტონინით (3x10-7 M) გამოწვეულ კონსტრიქციულ მდგომარეობაში ბრადიკინინის (10^{-9} – 10^{-6}M) ზემოქმედების შედეგად (საკონტროლო ცდები) აღირიცხა კონცენტრაცია-დამოკიდებული რელაქსაცია (სურ. 1 და 2). იგივე პირობებში, მაგრამ ლიდოკაინის და მეპივაკაინის (ორივე 10^{-5} M) მოქმედების ფონზე ბრადიკინინით გამო-წვეულმა რელაქსაციამ განიცადა ცვლილება (სხვაობა საკონტროლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონაცემებთან შედარებით სტატისტიკურად სარწმუნოა – $p < 0.05$), მისი ეფექტურობა საგრძნობლად შემცირდა. იგივე პრეპარატებზე მათი გამორეცხვის შემდეგ განმეორებით ჩატარებულმა ორჯერადმა საკონტროლო გაზომვებმა (30-წუთიანი დაყოვნებით) აჩვენა, რომ ბრადიკინინით ინდუცირებული რელაქსაცია სისხლძარღვების პრეპარატებში არ შეცვლილა და დოზა-დამოკიდებული რეაქციის განმეორებადობა უაღრესად მაღალია (სურ. 3).



სურ. 3. სეროტონინით წინასწარ შევიწროებული ბოცვერის ენის არტერიის ბრადიკინინით გამოწვეული დოზა-დამოკიდებული რელაქსაციის უცვლელობა ცდის განმეორებით ჩატარების პირობებში. აღნიშვნები: იგივე, რაც სურ. 1-ზე



სურ. 4. ლიდოკაინის ეფექტი (პროცენტებში) ბოცვერის ენის არტერიის სეროტონინით გამოწვეულ დოზა-დამოკიდებულ კონსტრიქციაზე. პროცენტები გათვლილია კალიუმის ქლორიდით (80 მმოლი/ლ) გამოწვეულ კონსტრიქციასთან შედარებით. აღნიშვნები: აბსცისაზე ციფრებით 1, 2, 3, 4, 5 აღნიშნულია სეროტონინის მოლარული კონცენტრაცია (შესაბამისად, 10^{-9}, 10^{-8}, 10^{-7}, 10^{-6} და 10^{-5} M).

ეროვნული ბიბლიოთეკა

